წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 28 აპრილი, 1921 წ.

№ 47 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 47

## აზერბაიჯანში

### 1920 28/4 1921

აზერბაიჯანის, მთელი კავკასიის რევოლიუციონური პროლეტარიატი და მისი პარტია ეგებება დღეს აზერბაიჯანში საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების ერთი წლის თავს.

რუსეთის რევოლიუციის გამარჯვების და კავკასიის გამოცალკევების შემდეგ აზერბაიჯანი შეიქნა ერთ-ერთ იმ ბუდეთ, სადაც თავი შეაფარა კონტრ-რევოლიუციამ ხანების და მათი პარტიის, მუსავატელების, მეთაურობით. ისინი შეიქნენ აქტიური მატარებელი არა მარტო შინაური რეაქციის, არამედ იმავე დროს მორჩილი იარაღი ინგლისის იმპერიალიზმის, რომელსაც აინტერესებდა ეს ქვეყანა საზოგადოთ როგორც ნავთის სამეფო დ კერძოთ, როგორც ასეთი, რუსეთთან საბრძოლველათ, რომლის მრეწველობას ჰკვებავს ბაქო. მის გეგმაში შედიოდა შექმნა აქედანვე ერთ-ერთი რევოლიუციონური რუსეთის წინაღმდეგ მიმართული სამხედრო ოპერაციების გამოსავალი მაგარი პუნქტი, საიდანაც სპარსეთში მოთავსებულ ძალების შემწეობით შესძლებდა ექარნახა თავის გავლენა კავკასიაში და მით მთელ მცირე აზიაში. ამნაირათ აზერბაიჯანი ხდებოდა ერთ ნასკვათ საერთაშორისო რეაქციის და, ჩვენი დროის ორ შეურიგებელ გიგანტურ ბანაკის ბრძოლის პირობებში, სახიფათო პუნქტათ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა დათავებული ბრძოლა სამხრეთ რუსეთის კონტრ-რევოლიუციასთან.

ანტანტის მორჩილი იარაღი იყო ამ შემთხვევაში, როგორც მოვიხსენიეთ, აზერბაიჯანის მაშინდელი ბატონ პატრონი, მუსავატური პარტია, პარტია ხანხოელებისა და უსუბბეკოვების. წათამამებულნი მისი სამაგიერო დახმარებით და იმავე დროს ოსმალეთის ნაციონალისტურ-იმპერიალისტური წრეების გავლენის ქვეშ, მუსავატელები ოცნებობდენ დიდ აზერბაიჯანზე. ამნაირათ აზერბაიჯანი შეიქნა თავის გაბატონებული წრეებისა და საერთაშორისო რეაქციის გავლენით კონტრ - რევოლიუციონურ ფაქტორათ ამიერ-კავკასიაში და, საქართველოში ისე როგორც სომხეთში არსებულ წესებთან ერთათ, მუდმივ მოუსვენრობის და ალიაქოთის მიზეზათ. ბაქოს რევოლიუციონური პროლეტარიატი, თუმცა დამარცხებული ერთ დროს თავის ბატონების მიერ ინგლისელების ხელის შეწყობითა და დასუსტებული მენშევიკების ღალატით, თუმცა მოკლებული ჯალათურათ დახვრეტილ თავის 26 ბელადების ხელმძღვანელობასა და დახმარებას, გრძნობდა განუყრელ მჭიდრო კავშირს რუსეთის ძმურ პროლეტარიატთან და ცხადია ვერ შეურიგდებოდა რეაქციის პარპაშს საზოგადოთ აზერბაიჯანში და კერძოთ ბაქოში, რომელსაც მუდამ მაღლა ეჭირა დროშა რევოლიუციის.

28 აპრილს რუსეთის გმირულ წითელი ლაშქრის დახმარებით აზერბაიჯანში გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სასტიკათ დამარცხდა კონტრ-რევოლიუციონური პარტია მუსავატელებისა და მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება გადავიდა პროლეტარიატის და ღარიბ გლეხკაცობის ხელში კომუნისტების მეთაურობით. ამით დაინგრა კიდევ ერთი დასაყრდენობი ბაზა საერთაშორისო რეაქციის, მიმართული რუსეთისა და აღმოსავლეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. ეს იყო უკვე დასაწყისი ამიერ-კავკასიაში დროებით გამაგრებული კონტრ-რევოლიუციის დასასრულისა! ჩვენ შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ აზერბაიჯანში საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებამ ნახევრათ გადასწყვიტა ის კითხვა, რომელიც გადიჭრა შემდეგ და საბოლოოთ 2 დეკემბერს სომხეთში და 25 თებერვალს საქართველოში. ეს კარგათ ესმოდათ და გათვალისწინებული ჰქონდათ დაშნაკელებს ერევანში და მენშევიკებს თბილისში. ეს იყო მიზეზი იმ აურზაურის, რომელიც გამოიწვია მენშევიკურ სფეროებში გადატრიალებამ აზერბაიჯანში. და სწორეთ ამავე უკანასკნელმა გარემოებამ მისცა ახალი ძლიერი იმპულსი რევოლიუციონურ ბრძოლას საქართველოში მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ.

ერთმა წელმა განვლო მას შემდეგ და დღეს საბჭოთა ძალა-უფლებაა დამყარებული როგორც სომხეთში, ისე ჩვენ ქვეყანაში. ამიერ კავკასიის ერები იწყებენ თავის ცხოვრების მოწყობას სხვა კლასებისა და სხვა პარტიების მეთაურობით ვინემ ეს იყო მათ ახლო წარსულში, ამით მოიშალა ამ ერებს შორის მუდმივი გაუგებრობის, მტრობისა და ურთიერთ ქიშპობის მიზეზი. განთავისუფლებულნი თავის ყოფილ ბატონების ულისაგან, დიდ საბჭოთა სახელმწიფოს ძმური დახმარებით, შეაერთებენ ისინი ერის ყველა სასიცოცხლო ძალებს ახალი ეკონომიური აღმშენებლობისა და კულტურული განვითარების ნიადაგზე. დამდგარნი ერთ გზაზე, შეკავშირებულნი ერთი მიზნით შექმნიან ისინი მედგარ ძალას, რომელიც გაუმკლავდება როგორც გარეშე ისე შინაურ კონტრ-რევოლიუციას და ბოლომდი მიიტანენ კომუნისტური რევოლიუციის გამარჯვების დროშას.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

კამათი ეროვნული საკითხის შესახებ ბ. ზატონსკი—ამხ. სტალინის თეზისები თითქმის დაწერილია დროისა და სივრცის გარეშე. საერთოდ და მთლიანად ეს თეზისები შეიძლება დაწერილიყო ოქტომბრის რევოლიუციამდე, აგრეთვე ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ,—1917 წ., 1919 წ. ან კიდევ 1918 წელში. მე ვფიქრობ, ამ ყრილობაზე საკითხი უნდა დასმულიყო ჩვენი ნამოქმედარის საერთო ჯამის გამოანგარიშების ნიადაგზე; ჩვენ უნდა აღგვენიშნა სწორათ და უტყუარათ ის რაც საბჭოთა ფედერაციაში ნამდვილად გაკეთდა ნაციონალური ბრძოლისა და ეროვნული საკითხის ლიკვიდაციისათვის ფაქტიურად, როგორც ვხედავთ, ნაციონალური მოძრაობა რევოლიუციის შემდეგ და საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხანაში სრულიადაც არ შემცდარა; პირიქით, რევოლიუციამ გააღვიძა და გააძლიერა ნაციონალური მოძრაობა, მაგალითად უკრაინაში. რევოლიუციამ ფეხი აიჩქარებია კულტურულსა და ფართო ეროვნულ მოძრაობას. ჩვენ, ამხანაგებო, ვერ მოვახერხეთ ნაციონალური მოძრაობის ტალღების ჩვენ საკუთარ კალაპოტში ჩაყენება და იგი მთლიანად გაჰყვა ადგილობრივ წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და „კულაკობის“ მიერ გაკაფულ გზას. ნაციონალური მოძრაობა გაჩნდა აგრეთვე ცენტრალურ რუსეთში; არის, ამხანაგებო, ერთი დიდი ფაქტი: რუსეთმა პირველმა შესდგა ფეხი რევოლიუციის გზაზე, რუსეთი ფაქტიურად საკოლონიო ქვეყანა, რუსეთი დასავლეთ ევროპის კოლონია, ანაზდეულად იქცა მსოფლიო მოძრაობის ცენტრად; ამ ფაქტმა, ამ მოვლენამ სიამაყით აავსო გული იმ ხალხის, ვინც დაკავშირებული იყო რუსეთის რევოლიუციასთან და ამ სახით გაჩნდა თავისებური რუსული წითელი პატრიოტიზმი. და ამ ჟამად ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენი ამხანაგები, სიამაყით—შეიძლება სამართლიანადაც—სთვლიან თავის თავს რუსებად, უყურებენ თავის თავს უპირველესად ყოვლისა როგორც რუსები.

მათთვის ისე ძვირფასი არ არის საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა ფედერაცია, როგორც „მთლიანი, განუყოფელი“ სახელმწიფო და ეს მომენტი სრულიად ბუნებრივად, მჭიდროთ უკავშირდება ჭეშმარიტ ცენტრალიზმის აუცილებლობას. აქ ხდება შემეცნებათა გასაოცარი აღრევა, არევ დარევა. თავისთავად ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება არ არსებობს ცენტრალიზმის გარეშე, ეს ადვილად გასაგები მდგომარეობაა; მაგრამ, ამხანაგებო, ერთია კანონიერი, აუცილებელი, საქმისთვის სასარგებლო ცენტრალიზმი და სულ სხვაა ის პრიმიტიული „русотяпство“ (ამხ. ლენინის ტერმინი), რომელიც თავს იჩენს ყველგან და ყველაფერში; თავს იჩენს უპირველესად ყოვლისა ჩვენი პარტიული მასის ცხოვრებაში და საქმიანობაში. აი, ორი მოვლენა, რომელიც ჩვენ სასტიკად უნდა გავარჩიოთ ერთი მეორესაგან და თვითეულს მიუჩინოთ თავისი ადგილი. ჩვენ გადაჭრით და ენერგიულად უნდა შევებრძოლოდ ამ „русотяпство“-ს ტენდენციას, იმიტომ, ამხანაგებო, რომ საქმე არც ისე უბრალოა, ამიტომ რომ ეროვნული საკითხი სრულიადაც არ სწყდება მარტო საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციით ან კიდევ ერის ლოზუნგით თავისუფალი თვითგამორკვევის შესახებ. ეს სრულიად საკმარისი არ არის.

ძლიერდება წვრილ ბურჟუაზიული სტიქია ცენტრში და კიდევ მეტი მასშტაბით გაჩაღდება იგი განაპირა ქვეყნებში. ჩვენ განვიცდით ეხლა ნაციონალური ბრძოლის მეტად მძიმე ხანას; ეს ბრძოლა თანდათან ღვივდება და ძლიერდება და ჩვენ იძულებული ვართ მას ანგარიში გაუწიოთ, და დინჯი ყურადღებით მოვეპყრათ. ეს მდგომარეობა ყველგან, ყოველ ნაბიჯზე გამოგვიცდია და გვიგრძვნია ჩვენ, განაპირა ქვეყნებში მომუშავე ამხანაგებს. ჩვენთვის აუცილებელია განსაზღვრით ფედერაციების ურთიერთობა, არა იმ მიზნით, რომ გავაფართოვოთ, ან შევამციროთ შემადგენელ ნაწილების უფლებანი არა,—საქმე ამაში არ არის,—არამედ იმისათვის რომ დღევანდელ ვითარებაში შევიტანოთ მეტი სინათლე, მეტი გარკვეულობა და მოვსპოთ ის არევ-დარევა, რომელიც არსებობს სინამდვილეში და ფრიად დიდ ზიანს აყენებს კარგად გამართულ საქმეს.

პარტიის ფართო მასამ უნდა ნათლად შეითვისოს მდგომარეობა; ეს აუცილებელი არის; პარტიული მასა უნდა აცდეს იმ პრიმიტიულ რუსულ ხალხს, რომელსაც ხშირად ეძლევა ჩვენი ამხანაგების მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა ფედერაციის ზიანით.

**მიქოიანი.** ჩვენი აზრით ნაციონალური საკითხი უნდა დაისვას პარტიულ პროგრამით ნაჩვენებ ფარგლებში. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ გამოცდილება და განვსაზღვროთ საბჭოთა აღმშენებლობისა და ურთიერთობის ფორმები განაპირა ქვეყნებისათვის; ეს უნდა მოხდეს, რადგან პარტიული პროგრამა გარკვევით აღნიშნავს, რომ საბჭოთა სისტემა განაპირა ქვეყნებში შეიცვლება ეკონომიურ პირობებისა და კულტურულ მოთხოვნილებათა თავისებურობის მიხედვით. ეს დირექტივი, პროგრამის მიერ მოცემული, გვავალებს პარტიულ კრებებზე, თუ ყრილობაზე განვსაზღვროთ ის ცვლილებანი, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს საბჭოთა სისტემაში და გამოვიმუშავოთ საბჭოთა სისტემის ტიპი განაპირა ქვეყნებისათვის. რამდენადაც ამხ. სტალინის თეზისები ამ აზრს ანვითარებს, ისინი ყოველგვარ დავის გარეშე სდგანან. მაგრამ ამხ. სტალინმა, სამწუხაროდ გზები ვერ გვიჩვენა. ჩვენ უნდა გავსცილდეთ მე-8 ყრილობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, და მე-10 ყრილობამ უნდა მოახდინოს ფიქსაცია კონკრეტიულად ასახულ და დაწვრილებით განვითარებულ იდეებისა. განაპირა ქვეყნებში ამ ჟამად საკითხი—უნდა არსებობდნენ რესპუბლიკები თუ არა—მაინცა და მაინც მწვავედ არა სდგას; თითქოსარც ისეთ საკითხებია საყურადღებო—არის თუ არა უფლება არსებობდეს რესპუბლიკა, ენა და სხვ. ეს კითხვები უდავოა, მაგრამ პრაქტიკულად ყველა ეგ კითხვები განუხორციელებელი რჩება. ამის მიზეზი არის მრავალი დაბრკოლება; მეტად ჩამორჩენილია განაპირა ქვეყნები და ღარიბია ის ადგილობრივი ძალები, რომელნიც მაგ. ადგილობრივ ენას აწევდნენ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ენის სიმაღლემდე.

ამხ. სტალინის თეზისებში არაფერია ნათქვამი, თუ რა უნდა ვქნათ ჩვენ რა დამოკიდებულება უნდა დავიჭიროთ განაპირა ქვეყნების ხალხთა რასებთან, სახელდობრ,—როგორ უნდა განისაზღვროს ამ ხალხთა რასიული სტრუქტურა. თეზისებში ლაპარაკია აღმოსავლეთის ხალხთა შესახებ, მაგრამ, მე ვიცი, ბევრ ამხანაგს წარმოდგენაც არა აქვს აღმოსავლეთზე, ან თუ აქვს მეტად კრთალი და ღარიბი. აღმოსავლეთი გაცილებით უფრო მრავალფეროვანია ვიდრე ევროპის ქვეყნები; შეუძლებელია ერთი და იმავე საზომით მიუდგე ავღანისტანს, თურქესტანსა და სპარსეთს. ეკონომიური საკითხი სპარსეთში სდგას განსაზღვრულ პირობებში, მაგრამ სულ სხვაა იმავე საკითხის პირობები მაგ. თურქესტანში. საჭირო იყო ყრილობაზე გამოგვერკვია რა ეკონომიურ ტიპებს წარმოადგენს, კლასიურის მხრივ ეს ხალხი, როგორ ვყოფთ, როგორ ვანაწილებთ მათ. თურქესტანს მე ნაკლებად ვიცნობ; ხოლო აზერბაიჯანში აღნიშნული კითხვები ზედმიწევნით გამწვავებულია. აზერბაიჯანი აღმოსავლეთის ქვეყანაა, მაგრამ თავისი კულტურული ვითარებითა და ეკონომიური მდგომარეობით რუსეთის ზოგ გუბერნიას გაუსწრებს. აზერბაიჯანის მცხოვრებთა რიცხვი, დაახლოებით მაინც, ორ მილიონ ნახევარს უდრის; აქედან მუსლიმანობა მილიონ ნახევარს შეადგენს. ორგანიზაციულად დარაზმული მუშები 110,000 კაცია, მათ შორის მუსლიმანია 60,000. ამასთანავე ანგარიშში არ არის მიღებული ორგანიზაციის გარეშე მყოფი მუშები და რევოლიუციის დროს გაფანტულნი. ამ გვარად პროლეტარიატის პროცენტი აზერბაიჯანში გაცილებით უფრო დიდია ვიდრე რუსეთის მრავალ გუბერნიაში. აღმოსავლეთის საკითხში ჩვენ უნდა გვქონდეს განსაკუთრებული გამჭრიახობით და დინჯად მოფიქრებული ხერხიანი პოლიტიკა. საჭიროა ადგილობრივი პირობების ღრმად შესწავლა, საჭიროა მოხერხებული მიდგომა და შეგუება ადგილობრივ ცხოვრებასთან. თუ ჩვენ ეს ვერ შევსძელით პროლეტარული ელემენტი დაიქსაქსება და დასაყრდენობი ნიადაგი ფეხქვეშ გამოგვეცლება ქალაქში მახვილ ბურჟუაზიას ჩვენ, რასაკვირველია, არაფერს დაუთმობთ, ჩვენ არ დავიცავთ მას მუშათა კლასის ინტერესების საზარალოდ. ამ პოლიტიკას გაჰყვა ბაქოს ორგანიზაციები და ამ გზამ კარგი შედეგები მოგვცა. სოფელს ჩვენ კიდევ მეტი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, განსაკუთრებით თანამედროვე მომენტში, როცა ჩვენ ვებრძვით გლეხთა მეურნეობის მოწესრიგების ფორმათა გამოყენებისათვის. ამ გვარად, მე ვფიქრობ, დაცვა ორგანიზაციულად დარაზმულ მასებისა აზერბაიჯანში და ფრთხილი პოლიტიკა გლეხობის მიმართ, მათთვის რაიმე დახმარების აღმოჩენით,—აი სწორი პოლიტიკა, რომელიც საშვალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ ამ ქვეყანაში ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა,

რაც შეეხება სომხეთს, უნდა ვსთქვათ რომ ამ ქვეყნის ბურჟუაზიას აქვს იმპერიალისტური ზრახვები წაჰკლიჯოს ოსმალეთს ტერიტორიის ნაწილი: ასეთ სურვილს, ცხადია, ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ და პირიქით, უნდა შევებრძოლოთ მას, ვინაიდან ეს გარემოება ხელს უშლის რევოლიუციონურ მოძრაობას კავკასიაში.

მაშასადამე, ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მოსპობა პოლიტიკური მტრებისა, დათმობის გზა ფართო მასების მიმართ, აი, ერთად ერთი პოლიტიკა, რომელიც მოგვცემს სასურველ შედეგებს.

**ბუნიაშევი.** ჩვენ გვაქვს მთელი რიგი განაპირა ქვეყნებისა, სადაც რუსული კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის განვითარებამ შექმნა თავისებური პირობები; ამ გარემოებამ საგრძნობლად შეაჩერა აღნიშნული ქვეყნების სამეურნეო და საერთო კულტურული წინსვლა.

უნდა ითქვას, რომ განაპირა ქვეყნების კოლონიზაცია არ არის ერთი და ორი თვის საქმე, არამედ მთელი ათეული წლებისა; ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა რუსეთის იმპერიალიზმი ცხარე მუშაობას განაპირა ქვეყნების კოლონიზაციისთვის. და ვიდრე ჩვენ არ შევსდგომივართ ამ იდეოლოგიის საბოლოოდ აღმოფხვრას, ვიდრე ადგილობრივ მუსლიმანობას ნათლად არ დავანახვებთ რომ ჩვენ გადაჭრით შევსდექით კოლონიზატორული ტენდენციების ლიკვიდაციის გზაზე, მანამდის, ამხანაგებო, ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ. ადგილობრივ ღარიბ მაშვრალთა ორგანიზაცია იძლევა რევოლიუციის გამოცდილებას განაპირა ქვეყნებში. ამ მხრივ თურქესტანი შეიძლება იქნეს სანიმუშო იმ ქვეყნებისათვის, სადაც ჯერ კიდევ არ მომხდარა მშრომელთა მასსების დარაზმვა. ეს საქმე ადვილად ჩატარდება სრულიად უმტკივნეულოდ, რადგან ადგილობრივი მშრომელი ელემენტები აშკარად აცხადებენ რომ მათ არ სჭირდებათ ბურჟუაზიის მფარველობა, რომ მათ სურთ საბჭოთა განვითარებისა და თვითგამორკვევის ვრცელსა და ფართო გზაზე გასვლა. ამ საქმეში ჩვენ უნდა დავეხმაროთ ხალხს, ეს უნდა იყოს მთავარი მიზანი ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებისათვის. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ საქმეს. ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის თარეშს, რომელიც მოწადინებულია, კაპიტალისტური განვითარების გზით მიმართოს ადგილობრივ ერთა წინსვლა. ამას ამტკიცებს ადგილობრივ ცნობილ შოვინისტების რამდენიმე ნაშრომი, სადაც სრულიად აშკარად არის იმ აზრის ქადაგება, რომ ყველა მუსლიმანური ერებისათვის აუცილებელია კაპიტალიზმის გავლა, რომ სხვა გზით შეუძლებელია კომუნიზმის განხორციელება. ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ამ მოვლენას, ამხანაგებო, და ვიხელმძღვანელოთ კომუნისტური ინტერნაციონალის მე 2 კონგრესის იმ აზრით, რომ შესაფერი დახმარებითა და მშრომელთა მასსების სათანადო ორგანიზაციით, აღმოსავლეთის ხალხს შეუძლია კაპიტალიზმის გარეშე შეუდგეს კომუნიზმის განხორციელებას.

## საბჭოთა რუსეთში

### სტუდენტობის ხმა.

მოსკოვი, 25 აპრილი (რადიო). მოსკოვის სტუდენტობა მეტად სერიოზულათ ეკიდებოდა თავის სამოქალაქო მოვალეობას. მოსკოვის 1-ლი უნივერსიტეტის, სამსაამშენებლო ინსტიტუტის, ლომონოსოვის სახელობის ინსტიტუტისა და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტობის შეერთებული სხდომა მოხდა ზიმინის დიდ თეატრში, რომელიც მთლათ გავსებული იყო სტუდენტებით. ახალგაზრდათა აუდიტორია მქუხარე ტაშის ცემით ხვდება მომხსენებელს ამხ. შლისტერს, რომელმაც წაიკითხა მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ დეკრეტებზე სასურსათო გადასახადისა და კოოპერაციის შესახებ. მოხსენება დიდის ყურადღებით მოისმინა მთელმა აუდიტორიამ. ყველა ხმები მოსკოვის საბჭოში არჩევის დროს, გარდა ათიოდე ხმისა, იყო მიცემული კომუნისტების სასარგებლოთ, რომელთა 8 კანდიდატი გავიდნენ მოსკოვის საბჭოში. 7 სარაიონო საბჭოში. კრებას აღფრთოვანება გამოიხატა მანიფესტაციაში, რომელიც გაიმართა მოსკოვის საბჭოსკენ. სტუდენტებმა გაავსეს თითქმის მთელი საბჭოთა მოედანი. დიდის ყურადღებით მოისმინეს ამხ. კამენევის სიტყვა, რომელმაც სთქვა, რომ მუშათა კლასისა და მცხოვრებთა მჭიდრო კავშირში მდგომარეობს საფუძველი კომუნისტურ წყობილების გამარჯვებისა. „დაე, თქვენი დელეგატები, სთქვა კამენევმა, ახალ საბჭოში იყვნენ გაუწყვეტელ კავშირად ფაბრიკა-ქარხნების მუშებსა და კომუნისტურ უნივერსიტეტს შორის“. დასასრულ სტუდენტობამ ერთხმად დაადგინა, სთხოვოს ამხ. კამენევს—გადასცეს სალამი წითელი ახალგაზრდობის სახელით რუსეთის სულის ჩამდგმელს ამხ. ლენინს.

## საბჭოთა სომხეთი

### დეკრეტი საერთო ამნისტიის შესახებ სომხეთში.

24 აპრილს ერევანში სომხრევკომმა გამოაქვეყნა დეკრეტი საერთო ამნისტიის შესახებ:

მუშა და გლეხთა რევოლიუციის გამარჯვებამ სრული თავისუფლება მიანიჭა სომხეთის მშრომელთ. საბჭოთა მთავრობის მოწოდებამ, რომ დაბრუნებოდენ მშვიდობიან შრომას და საკუთარ ქვეყნის აღმშენებლობას თანაგრძნობის გამოძახილი იპოვა სომხეთის მშრომელ ხალხში. მუშების. გლეხების და მშრომელ ინტელიგენციის თანაგრძნობა დაედო მტკიცე საფუძვლათ სომხეთში საბჭოთა ძალაუფლების საბოლოოთ განმტკიცებას.

სომხეთის რევკომი ა. წ. 1 აპრილის დეკრეტის შესაცვლელათ და დასამატებლათ აცხადებს. 1) განთავისუფლებულია პოლიტიკურ და სხვა ყოველ გვარ პასუხისმგებლობისაგან ყველა ის პირი, რომლებიც ამა თუ იმ სახით აწარმოებდენ ბრძოლას სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მიუხედავათ მათი მოღვაწეობისა, წოდებისა, მდგომარეობისა და თანამდებობისა. შენიშვნა: აპრილის 10 დეკრეტის მე 2 პუნქტი გაუქმებულათ ცხადდება. 2) აღნიშნულ მოქალაქეებს უბრუნდებათ ყველა უფლებანი. 3) იძულებულ ჰყოს. ს. ს. ს. რ. ყველა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებანი და აგრეთვე ყველა თანამდებობის პირ-

# დღის ნომერში:

**მოსკოვის სტუდენტების დიდმა უმრავლესობამ საბჭოს არჩევნებში კომუნისტებს მისცა ხმა.**

**აჯანყება ირლანდიაში ფართე ხასიათს ღებულობს.**

**გერმანიაში მონარქისტები გადატრიალების მოსახდენად ემზადებიან.**

---

ნი დაუყონებლივ და უცვლელათ მოიყვანონ სისრულეში აღნიშნული დეკრეტი და გაათავისუფლოს აღნიშნულ პოლიტიკური მოღვაწენი და მოქალაქენი დატუსაღებისა, ტყვეობისა, გადასახლებისა და სხვა გვარ შევიწროვებისაგან.

4) ეს დეკრეტი შედის ძალაში დღიდან გამოქვეყნებისა და ეცნობება დეპეშით ყველა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებს და თანამდებობის პირთ ს. ს. ს. რ. სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარე **კასიანი**. წევრი—რევკომის მდივანი **ა. ბრვაგიანი**.

### სომხეთში.

**ერევანი**, 25-4 (ტელეგრაფით). ერევნის კომპარტიის ორგანიზაციის და პროფკავშირის წევრთა შეერთებულ სხდომაზე მოისმინეს ამხ. ს. ორჯონიკიძის და შალვა ელიავას მოხსენება მიმდინარე მომენტის და საბჭოთა რესპუბლიკების შორის დამოკიდებულების შესახებ, რის შემდეგაც მხურვალედ ესალმებიან ქართველ მასის მუშა-გლეხთა გმირობას და სიმტკიცეს, რომლებმაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს კაპიტალს და მიაღწიეს პირველ დიდ გამარჯვებას ამ ბრძოლაში მედგარ და დაუღალავ რევოლიუციონურ მუშაობით და აუწერელ მსხვერპლის გაწევით. მას მერე, რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა წეს-წყობილობა და სომხეთის მუშა-გლეხთა მასებმა დაშნაკელებზე გაიმარჯვეს, მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ამიერ კავკასიის კომუნის მთლიან შენობას, რომლის ფარგალშიაც შეუძლებელია ამიერ-კავკასიაში და'ა ხლებულ მცხოვრებთა ნაციონალური დავა და შეხლა-შემოხლა ტერიტორიალურ უთანხმოების ნიადაგზე. საერთოდ ეკონომიური სარკინისგზო პოლიტიკა სამივე რესპუბლიკისა, ყველა მშრომელთა საერთო მუშაობა და მათი შეგნებული დამოკიდებულება შრომის წარმოების საკითხთან, საკმაო საფუძველს იძლევა, რომ ამიერ-კავკასიის მუშა-გლეხთა მასსა ადვილათ შექმნის საერთო რევოლიუციონურ ფრონტს და რუსეთის პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხკაცობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული თამამად და ერთსულოვნად იბრძოლებს საბოლოო სოციალისტურ წესწყობილების დამყარებისათვის მსოფლიოში. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მუშა-გლეხთა მასას საერთო რევოლიუციონურ ფრონტს. გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას.

---

## საზღვარ-გარეთ

### აჯანყება ირლანდიაში.

**ბათუმი.** 24 აპრ. (ტელეგრაფ.) ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ირლანდიის რევოლიუციონერები სპობენ ყოველივე საშუალებას და მიმოსვლის გზებს ირლანდიის ქალაქებს შორის. ბულფასტი სავსებით მოწყვეტილია, მთავრობას არ შეუძლიან რაიმე ზომები მიიღოს.

### პროტესტი რურის ბასეინის ოკუპაციის წინააღმდეგ.

**ბერლინი.** 24 აპრ. ინგლისის მუშათა კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავენ უკმაყოფილებას რურის ბასეინის ოკუპაციის გამო. ინგლისის მუშები აცხადებენ, რომ ეს სამხედრო ზომა არის ზნეობრივი და პოლიტიკური ბოროტმოქმედება, რადგანაც ამ ზომას შედეგად მოსდევს გაღატაკება გერმანიის მუშათა კლასისა, რაც დამღუპველად მოქმედობს ინგლისის ინტერესებზე. ინგლისის მუშათა აზრით, პასუხის მგებლობა გერმანიის წინადადების მიუღებლობისა არ შეიძლება დააწვეს გერმანიას, ვიდრე არ იქნება დამტკიცებული გერმანიის დანაშაული. მუშები აცხადებენ, რომ ინგლისის ეკონომიურ სიმძლავრის აღსადგენათ, საჭიროა გერმანელი მუშათა ხელი და გერმანული საქონელი.

### მონარქისტები გერმანიაში.

**ბათუმი.** 24 აპრილი. (ტელეგრაფით). ბერლინიდან იტყობინებიან: გერმანიის მონარქისტებს იმედი აქვთ გერმანიაში გადატრიალების მოხდენისა, მათი შტაბი მზადაა გამოვიდეს პირველ შესაფერ მომენტში. ამბობენ, რომ სიმონსს რომ ხელი მოეწერა ანტანტასთან ვალის გადახდის შეთანხმებაზე, მაშინ ის ამით ხელს მოაწერდა ბრძანებას, დაეწყოთ გერმანიაში კონტრ-რევოლიუცია მონარქიზმის აღსადგენად. — მონარქისტები იმედოვნებენ, რომ ევროპაში ომის გამოწვევით, შეინარჩუნონ თავისი მდგომარეობა. იმათ აზრათ ჰქონდათ მიეტანათ იერიში ჯერ პოლონეთზე და მერე საფრანგეთზე. მათი იმედი ემყარება პრუსიისა და ბავარიის დინასტიაზე. ტახტის ნამდვილ კანდიდატათ ასახელებენ ექს-კაიზერს, კრონპრინცს და რუპრეხტ ბავარიელს. მონარქისტები ხშირათ მართავენ სხდომებს სასახლეში მთავრობის ჩუმი თანხმობით.

### გერმანიის ახალი ნოტა.

**ნაუენი** 24 აპრ. (რადიო). გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სიმონსმა ლამით ამერიკაში გაგზავნა ნოტა ზარალის ანაზღაურების ახალი წინადადებით.

**ნაუენი.** 24 აპრ. (რადიო). გერმანიის მთავრობამ პარიზში აცნობა ახალ წინადადების შემდეგი 4 მუხლი: 1) გერმანია კისრულობს მუშაობის ხარჯს დანგრეულ ოლქების აღსადგენათ განსაზღვრულ სექტორებში. მუშაობა უნდა სწარმოებდეს გერმანიის ხელმძღვანელობით. 2) გერმანიის მთავრობა მხარს უჭერს გერმანიის მუშათა კავშირის წინადადებას. 3) გერმანია მზათ არის აცნობოს სახელები კერძო მწარმოებლების, რომლებიც მზათ არიან იმუშავონ საფრანგეთის უსახლ-კარო მცხოვრებლთათვის. 4) ყოველი ცალკე წინადადება, მიღებული ანტანტის მთავრობისაგან, იქნება დაწვრილებით განხილული გერმანიის მთავრობის მიერ.

### ბრიანის განცხადება გერმანიის შესახებ.

**ბათუმი.** 24-4 (ტელეგრაფით). საფრანგეთის პრემიერმა ბრიანმა განაცხადა, რომ მიუხედავათ გერმანიის თხოვნისა და პროტესტებისა, მისი მთელი სახელმწიფო და კერძო ქონება, ქარხნები, მაღაროები, ტყეები და რკინის გზები უნდა ემსახურებოდეს მოკავშირეებს, სანამ კონტრიბუცია მთლად არ იქნება ანაზღაურებული.

### ბრიანის და ლოიდ ჯორჯის შეხვედრა.

**ლიონი.** 24 აპრ. (რადიო). „მატენ“-ის კორესპონდენტი ეხება რა ლიმინში მომხდარ თათბირს, სწერს: „გაუზიარა რა ლოიდ ჯორჯს თავისი თვალსაზრისი გულახდილობით და სიმტკიცით, ბრიანმა მთელი მიუთითა იმაზე, თუ როგორის კრიტერიუმით უნდა გერმანიის წინადადებას შეფასება. ბრიანის თეზისები ემყარება ვერსალის ხელშეკრულებას. მოლაპარაკებამდის გერმანიამ უნდა გადაიხადოს მილიარდი მარკა ოქროთი და უნდა წარმოადგინოს მეორე 11 მილიარდის გადახდის გეგმა. ყველა ეს ვალდებულებანი, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვცნათ ძვირფასათ, როდესაც იგი გირაოთი იქნება უზრუნველყოფილი. ასეთი გირაო იქნება მოკავშირეთა კონტროლი რეიხს-ბანკის ოქროს მარაგზე. კორესპონდენტი უმატებს, რომ ლოიდ ჯორჯმა მშვენივრად შეითვისა საფრანგეთის თვალსაზრისი და მზათ არის მიიღოს განსაკუთრებული ზომები, რომელიც ბრიტანიის მთავრობას ხელთა აქვს.

### ამერიკის პასუხი და გერმანია

**ლიონი.** 24 აპრილი. (რადიო). გერმანია მოუთმენლად ელოდა ამერიკის პასუხს. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ პასუხმა დააკმაყოფილოს გერმანია. გაზეთ „ომ ლობრის“ სიტყვით დოქტორ სიმონსმა და მისმა კოლეგებმა, გადასწყვიტეს არ გადასცენ ყველა თავის წინადადებები მოკავშირეებს სანამ დანამდვილებით არ გაიგებენ, თუ როგორ ხაზს დაადგება შეერთებული შტატები. დღემდე გერმანიის მთავრობამ გადასცა აღდგენის კომისიას მხოლოთ ნოტა საფრანგეთის განადგურებულ ოლქების რეკონსტრუქციის გეგმით. მიუხედავათ ამისა გერმანიაში საზოგადოებრივი აზრი დაუკმაყოფილებელია. სხვა და სხვა ორგანოები გმობენ მთავრობის მოქმედებას და უსაყვედურებენ მას მარცხენა ნაბიჯების გადადგმას. გაზეთი „ეკლერი“ აღნიშნავს: „შეერთებულმა შტატებმა კარგათ იციან. რომ მათ შეუძლიათ ითამაშონ ამ საქმეში ფრიად განსაზღვრული როლი. გერმანიის წინადადებები რომ მოსულიყო ჩვენამდე, ჩვენ მათ არ განვიხილავდით, რადგანაც ისინი მოკლებული იქნებოდნენ საჭირო გარანტიებს. გერმანიის ვალის რაოდენობა არ არის მარტო ერთი საკითხი, რომელიც უნდა მოგვარდეს, ჯერ არ არის გამორკვეული ომის კანონების დამრღვევთა დანაშაულის საკითხი. მაშასადამე ბაიხეს კონფერენციის პროგრამა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიცვალოს.

### პროტესტი საფრანგეთის წინააღმდეგ.

**ბერლინი.** 20 აპრილი, გერმანიამ მიმართა ერთა ლიგას პროტესტის ნოტით საარის ბასეინში საფრანგეთის ვალიუტის შემოღების გამო. გერმანიის მთავრობა ამ ფაქტს, ვერსალის ხელშეკრულების დარღვევათ სთვლის.

### ამერიკის ექსპორტის შემცირება.

**ბათუმი.** 24 აპრილი, (დეპეშა). ვაშინგტონიდან იუწყებიან, ამერიკელი საქმის მომწყობნი ძლიერ შეწუხებულნი არიან ამერიკის ექსპორტის შემცირების გამო. თებერვალში საქონლის გაზიდვამ იკლო .. (დამახინჯებულია)... შემოზიდვამ იმატა 4 მილიონით გასული წლის თებერვალთან შედარებით.

### თეთრი ტერორი ესპანეთში.

**ბათუმი.** 24 აპრილი, (დეპეშა). მადრიდიდან იტყობინებიან: თეთრი ტერორი ესპანიაში საოცრად გაძლიერდა, ესპანიის პრემიერის დატოს მოკვლის შემდეგ გაძლიერებული დაპატიმრება იყო. გაზეთებს აეკრძალათ დატოს მკვლელობის გამო დაპატიმრებაზე წერა. ნებას აძლევდნენ მხოლოდ იმ ცნობების მოთავსებისას, რომელსაც პოლიცია აწვდიდა. განსაკუთრებით ბევრი დააპატიმრეს ბარსელონაში.

---

## ამხ. პატო ოკუჯავას ხსოვნას

ამხ. კატიას ვიცნობ სულ რამოდენიმე თვეა. იგი იყო დევნილი მენშევიკების ბატონობის დროს კედიას დაგეშილი აგენტების მიერ. მით უმეტეს, მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ დღეებში მას არ ჰქონდა არც ერთი წუთი მოსვენება კედიას და ქარცივაძეების მხრით. მაგრამ დრომ, და ჟამმა განვლო დაჰკრა საქართველოს მუშათა და გლეხთა განთავისუფლების საათმა, მოისპო ჯალათების ბატონობა, და განთავისუფლდნენ ყველა დევნილი ამხანაგები,—მათთან ერთად ამხ. კატიაც. და აი იგი, სიხარულით აღტაცებული ეწაფება ახალ ცხოვრებას და იღებს მხურვალე მონაწილეობას მასიურ მუშაობაში. ის იყო გულკეთილი, ჭკვიანი და შეგნებული ამხანაგი. მას უყვარდა მუშათა საქმე. ის ყოველთვის ხმარობდა ყოველ ძალ-ღონეს რათა ჩამორჩენილი მუშები დაეწინაურებინა ცხოვრებაში, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად. ამით კატია სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას ქალთა განყოფილებაში, რომლის გამგეთ ის იყო დანიშნული, მაგრამ შავმა სიკვდილმა არ დააცალა ჩვენს დაუვიწყარ ამხანაგს, რომ დამტკბარიყო ახალ ცხოვრებით, რომ თავისუფლად მიეღო მას მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში. საშინელმა სენმა უდროოდ გამოგვაცალა ხელიდან კიდევ ერთი საუკეთესო ამხანაგი, კიდევ ერთი სიამაყე რომელმაც დღიდან საქართველოს განთავისუფლებისა. ჩაუდგა მკვიდრი საძირკველი თბილისის კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილებას. ის მოკვდა მაგრამ მისი სახელი ჩვენში დარჩება დაუვიწყარი. მუშა ქალთა გულიდან არ ამოიფხვრება მისი ნაზი, მაგრამ მასთან ერთად მტკიცე ხმა. და ფიცსა ვსდებთ, რომ შენს დაწყებულ საქმეს, ამხ. კატუში, გამარჯვებით დავაბოლოებთ და შენ მიერ ჩადგმულ საძირკველზედ ავაშენებთ ისეთ შენობას, რომელსაც ვერავითარი შავრაზმული გამოსვლები ვერ შეარყევენ.

**თ ადამიძე.**

---

### კატო ოკუჯავას გარდაცვალების გამო

მასწავლებელთა კომიტეტი გამოსთქვამს თავის ღრმა თანაგრძნობას ამხ. მიშა ოკუჯავასადმი, რომელმაც უდროვოთ დაკარგა ძვირფასი ამხანაგი და თავისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი მეგობარი კატო ოკუჯავა.

**მასწავლებელთა კომიტეტი**

### ძვირფას ამხანაგ კატო ოკუჯავას ხსოვნას.

დღეს როდესაც ჩვენს ჰორიზონტზე ბრწყინვალი მზე თავისი ძლევა მოსილი სხივებით ამოკაშკაშდა და ნესტიან სარდაფებშიაც კი ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთ მიულოცა მან ბრწყინვალე გამარჯვება, დღეს როდესაც ყოველი ღარიბნი და დაჩაგრულნი დღესასწაულობენ იმ დიად გამარჯვებას, რომელიც ურიცხვი ბრძოლით, ციხეებით, ციმბირებით, სახრჩობელებით და ათას გვარი შეურაცხყოფით მოიპოვა მუშათა კლასმა, დღეს როდესაც უხსოვარ დროიდან დამონებულმა უუფლებო ქალებმა მოიპოვეთ უფლება და თავისუფლება, რომელიც თებერვლის რევოლიუციიდან ოქტომბრის ძლევამოსილ რევოლიუციამდე ფიქტიურათ იყო აღბეჭდილი „მხოლოთ ქაღალდზედ“, მაშინ როდესაც საბჭოთა საქართველო წითლათ საზეიმოთ მოირთო, სწორედ ამ ბედნიერ დღეს დაეშვა მწუხრის შავი ზეწარი, ჩვენ წრეებში შემოიჭრა მწუხარება შენი უდროოდდაკარგვით ძვირფასო ამხანაგო, კატია.

საშინელებაა ჩვენთვის შენი დაკარგვა, რადგან ჩვენ ხელიდან გვეცლება უძვირფასესი ამხანაგი, აღჭურვილი ცოდნით და შეგნებით, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე თავგამოდებით ებრძოდა მუშათა კლასის მოსისხლე მტრებს, თავ გამოდებით იცავდა მათ ინტერესებს. უსაშინელესი მდგომარეობა შეგვექნა ჩვენ შენს ამხანაგ ქალებს, რადგან შენი დაკარგვით ჩვენს ისედაც მცირე რიცხოვან წრეს მოაკლდა ძვირფასი ამხანაგი და ხელმძღვანელი, რომელიც წინ მიგვიძღოდა და გაბედულათ მიგვიწევდა იმ აღთქმის ქვეყნისაკენ, საითაც ჩვენი ამხანაგი მამაკაცები მიეშურებიან.

დიახ, ძვირფასო ამხანაგო! შეუბრალებელმა სიკვდილმა თავისი ჯოჯოხეთური გაყინული ხელების მოხვევით, გაყინულ გულში ჩაგიკრა და მით სამუდამოთ დაადუმა შენი მეტყველი ბაგე, მაგრამ ჩვენ შენი ამხანაგები ფიცსა ვსდებთ შენი ცხედრის წინაშე, რომ შენ მიერ დაწყებული საქმე ბოლომდის მივიყვანოთ. ჩვენ გვწამს, ამხანაგო კატო, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ არის, ჩვენი ხსნა მხოლოთ სოციალიზმს შეუძლია და უკანასკნელ წუთამდი ვიბრძოლებთ მისთვის; მართალია შენი დაკარგვით ჩვენი ცხოვრების წითელი ფურცელი შავი არშიით შემოიხაზა, მაგრამ ვეცდებით შენი საყვარელი საქმის ბოლომდის მიყვანით დავამტკიცოთ ის რომ შენს ხელმძღვანელობას მუქთათ არ ჩაუვლია.

ეხლა კი მშვიდობით, ჩვენო საყვარელო ამხანაგო კატო, მუდმივი იქნება შენი ხსოვნა შენი ამხანაგების გულში.

**ლოლა.**

---

### ამერიკის ვაჭრობა რუსეთთან.

**ბათუმი.** 24 აპრ. (დეპეშა). სტამბოლიდან მიღებული ამერიკის გაზეთები სავსეა წერილებით, საბჭოთა რუსეთსა და ამერიკის შორის სავაჭრო ურთიერთობის მოლაპარაკების დაწყების შესახებ. მსხვილ ფინანსისტებს შორის სწარმოებს ფართო პროპაგანდა რუსეთთან დაუყონებლივ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ. გაზეთები სწერენ იმ ხელსაყრელ კონცესიებზე, რომელსაც რუსეთი აძლევს უცხოელ კაპიტალისტებს. ეს კონცესიები შემდეგია: ტყეების-8 კონცესია აზიის რუსეთში და 30 ევროპის რუსეთში. 19 კონცესია მიწის წიაღის სიმდიდრის დასამუშავებლათ, კონცესია დასათესათ და კოლონიზაციისთათვის.

### საფრანგეთი და ჩინეთი

**ლიონი.** 24 აპრილი. (რადიო). ჩინეთის მისიამ, რომელიც მილიერანმა ეხლახან მიიღო, დაათვალიერა ნავთ-საშენები. პრესაში აღნიშნავენ, რომ შუ-შინ შენის მისსია წარმოადგენს ახალ დამტკიცებას მეგობრულ განწყობილებისას, რომელიც არსებობს ამ ორ დიდს რესპუბლიკებს დასავლეთისას და შორეულ აღმოსავლეთის შორის ომის დროიდან. ამ დამოკიდებულებათა საკმაო შედეგები უკვე სჩანს: პარიზში დაარსდა ჩინეთის მეცნიერებათა ინსტიტუტი და საფრანგეთ ჩინეთის ეკონომიური ორგანიზაცია ერთ ფრანგ მეცენატის წყალობით. შესაძლებელი ხდება ამ ორმა დაწესებულებამ შეიძინოს საკუთარი უძრავი ქონება, სადაც სხვათა შორის, გაიხსნება ბიბლიოთეკა ჩინეთისა და შორეულ აღმოსავლეთის საკითხის წიგნებით. აქ, ჩინელი სტუდენტები, რომელთა რიცხვი თან-და-თან იზრდება, ჰპოვებენ მხურვალე მასპინძლობას. აქვე საფრანგეთის მრეწველებს და კომერსანტებს შეძლება მიეცემათ გაეცნონ უსაჭიროეს დოკუმენტებსა და სტატისტიკურ ცნობებს, აგრეთვე ჩინეთიდან მიღებულ ცნობებს; პრესა ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ დროა უკვე საფრანგეთმა თავისი მოქმედება გადაიტანოს უზარმაზარ ჩინეთშიაც, გერმანელები საკმაოდ მიხვდნენ, თუ რა ეკონომიური მომავალი მოელის ჩინეთს. საფრანგეთს, რომელიც მოსაზღვრეა ჩინეთის ტონკინით, არ შეუძლია არ დაინტერესდეს მისი ბედით. საფრანგეთს არ შეუძლია არ დააფასოს მორალური სიმდიდრე ათას-წლოვან ცივილიზაციისა, რომლითაც ისარგებლებენ ეჭვს გარეშე ეკონომისტ-პიონერები ოკეანეს იქითა მხარისა. ორი დიდი დემოკრატია უგზავნის ერთი-მეორეს ძმურს სალამს.

## პირველი მაისობა

### 1-ლ მაისის საბავშო დღესასწაულის მომწყობ კომისიისგან.

კომისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყოველგვარი ცნობები საბავშო დღესასწაულის მოწყობის შესახებ 1-ლ მაისს შეიძლება მიიღოს 6-დან 8-მდის საღამოთი განათლების სახ. კომისარიატის ბინაზე, ოთახი 88, მსვლელობის ორგანიზაცია.

1 მაისის მომწყობმა საგანგებო სამეულმა, რომელშიაც შედიან პროფკავშირების და ცენტრალურ კომისიის წარმომადგენლები, გარნიზონის წარმომადგენელთან ერთად გამოიმუშავა გეგმა საზეიმო მსვლელობისა 1 მაისს. ამ გეგმით განზრახულია, რომ საწარმოვო ყოველ მწკრივებს წინ უძღოდეს ერთი საბარგო ავტომობილი, პროფკავშირთა საწარმოვო ემბლემით; ავტომობილების მსვლელობის დროს საწარმოვო მანქანები ამუშავებული იქნება, და ამით თვალსაჩინოდ გახდიან თავის მუშაობას.

### 1 მაისის ორთქლმავალი.

რკინის გზელთა კავშირმა დაადგინა 1 მაისის დღეს გამოუშვას საგანგებო მატარებელი. ამ ჟამად სწარმოებს სასწრაფო მუშაობა ამ ორთქლმავალის შესაკეთებლათ, რომელიც 1 მაისის დღეს, პატარა შემადგენლობით გაშვებულ იქნება პროვინციაში, როგორც საგიტაციო მატარებელი. ამ ორთქლმავალზე რკინის-გზელები მუშაობენ ზედმეტ საათს. გამოჩენილია იმდენათ დიდი ენერგია, რომ ორ კვირაში ორთქლმავალი შესაძლებელია სავსებით იქნეს შეკეთებული, მიუხედავათ იმისა რომ იგი თითქმის სანახევროდ გაფუჭებულია საგიტაციო მატარებელი რკინის გზელებისა იქნება მორთული.

**სანახაობათა მოწყობა.** თეატრალურმა კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა 1 მაისის დღეს სანახაობათა მოსაწყობათ. საღამოთი ყველა თეატრებში გაიმართება საზეიმო წარმოდგენები ქართულ, რუსულ, სომხურ, ხპარსულ და თათრულ ენებზე. ვინც თეატრში ვერ მოჰყვება, მათთვის ქუჩებში გაიმართება კინემატოგრაფიული სეანსები, რევოლიუციონური შინაარსის სურათები წარმოდგენილი იქნება ქალაქის ყველა პუნქტებში და მათ რიცხვში ავლაბრის მოედანზე. ნაძალადევში და სხვ. ზეიმის დღიურ გეგმის გამომუშავება დამთავრდა. პრინციპიალურად გადაწყვეტილია მოეწყოს დიდი სახალხო წარმოდგენა ვაკეში.

თუ ამინდი შესწრო, ალლუმი, სეირნობა და საზეიმო გამოსვლები ქალაქშივე მოეწყობა.

### გასართობები ბავშვებთათვის

მაისის 1 საბავშო დღესასწაულის მომწყობმა კომისიამ თავისი მუშაობა დაამთავრა. ყველა პარკებში და ბაღებში ბავშვებთათვის მოეწყობა თამაშობანი ბალეტი, კონცერტი და სხვა. მთელი საბალეტო მუშაობის მოწყობა ბავშვთა დღესასწაულთათვის დაევალება მ. მ. მორდკინს. ბაღებსა და პარკებში საბავშო დღესასწაულზე შეუშვებენ ბავშვებს 14 წლამდე მწყობრად ე. ი. როგორც მოსწავლეებს, ისე ქუჩის ბავშვებს, და აწყობენ ჯგუფ-ჯგუფად ინსტრუქტორების მეთაურობით. ბავშვებს დაურიგებენ საუზმეს.

### ქალაქის გასუფთავება.

1 მაისის დღესასწაულის მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა, იქნეს მიღებული სასწრაფო ზომები ქალაქის გასაწმენდათ, განსაკუთრებით [illegible] შუა ადგილ უბნების საზეიმო [illegible] მისაცემად, მიღებულია ზომები [illegible] გასასუფთავებლად. გრუკავერსტამ [illegible] სამხატვრო განყოფილება ცენტრალ კომისიის გეგმით ქალაქის მოსართავად ამზადებს საჭირო პლაკატებს, გირლიანდებს და სხვა.

### თეატრის ბილეთების განაწილება.

1 მაისის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისიის დადგენილების თანახმად, ყველა თეატრის ბილეთები განაწილდება განსაკუთრებით მუშათა და წითელ არმიელთა შორის. ბილეთებს მუშებისთვის გადასცემენ პროფ. კავშირების კულტურულ განყოფილებაში, რათა თავის დროზე ყველა პროფესიონალურ კავშირების შორის განაწილდეს.

### დახმარება პროვინციას.

პირველ მაისის მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ ყოველი ზომა მიიღო რესპუბლიკის ქალაქებში 1 მაისობის მოსაწყობ საჭირო საშუალებათა დროზე მოწოდებისათვის. ამას გარდა პროვინციაში გაიგზავნა საჭირო ლიტერატურა, ინსტრუქცია და სხვ. პროვინციიდან ცენტრალურ კომისიას მოდის მრავალი დეპეშები, რომლებიც მოწმობენ ადგილობრივ რევკომების და განსაკუთრებულ პირველ მაისის კომისიების ენერგიულ მუშაობას.

---

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### ბრძანება

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარ სა.

ამა 1921 წ. აპრილის 22-დან შევუდექი საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის მოვალეობის ასრულებას.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

**მ. ტოროშელიძე.**

22 აპრილი 1921 წ.

### დადგენილება № 11

**საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტისა მიწის მზომელთა მობილიზაციის შესახებ.**

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ამა წლის აპრილის 18-ს თარიღითა და 40 №-რით გამოცემული ბრძანების განსავითარებლად,—მიწით სარგებლობისა და მის ურთიერთობის საქმის სასწრაფოდ მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. გამოცხადებულ იქნეს სამიწათმზომელო დარგის სპეციალისტების მობილიზაცია საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

2. ის პირები, რომლებიც არ გამოცხადდებიან მობილიზაციაზე, მიიცემიან რევოლიუციონურ ტრიბუნალის სამართალში და დაისჯებიან რევოლიუციონურ დროის კანონების მიხედვით.

3. მიწათმოქმედების სახ. სასურ. კომისარს ევალება შეიმუშავოს ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ სამიწათმზომლო დარგის სპეციალისტების განაწილებისა და გამოყენების წესი.

4. წინადადება ეძლევა სახალხო კომისარს, მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში მყოფი სამიწათმზომლო დარგის სპეციალისტები დააკმაყოფილოს სურსათ სანოვაგით პირველ რიგში დაწესებულ ნორმის მიხედვით.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარი **ფ. მახარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. ელიავა.**

1921 წ. აპრილის 23.

ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 12.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

სასოფლო მეურნეობის დარგის სპეციალისტთა და ტეხნიკოსების მობილიზაციის შესახებ.

რადგან სასოფლო მეურნეობის განვითარებ სა და წარმატების საქმეს საჭიროა მიექცეს ფრიად დიდი ყურადღება, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1) გამოცხადებულ იქნეს სასოფლო მეურნეობის დარგის ყველა სპეციალისტებისა და ტეხნიკოსების მობილიზაცია საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

2) ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული პირები, რომელნიც სცხოვრობენ ქალ. ტფილისში და რაიმე მიზეზის გამო არ გამოცხადებულან საალრიცხოთ საქართველოს ს. ს. რ. რევკომის ა წ. აპრილის 10-ს ბრძანებაში № 39 აღნიშნულ ვადაზე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ამისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში ამა აპრილის 28 ის, და 29-ის განამვლობაში.

3) სასოფლო-მეურნეობის დარგის ის სპეციალისტები და ტეხნიკოსები, რომელნიც ქალ. ტფილისის გარედ სცხოვრობენ, ვალდებულნი არიან ერთი კვირის განმავლობაში დღიდამ ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოცხადდენ აღრიცხვისათვის ადგილობრივ სამაზრო რევკომის მიწის განყოფილებებში.

4) ის პირები, რომელნიც არ გამოცხადდებიან საარრიცხვოდ, მიიცემიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველ საზოგადოებას.

ამ აპრილის ბოლო რიცხვებში დასრულდა ქართულ რუსულ ვრცელ ლექსიკონის თეთრად გადაწერა.

მის შედგენას ჩვენ მოვუნდით სრული 46 წელიწადი, ხოლო მარტო თეთრად გადაწერას—ექვსი.

მასში შევიდა სიტყვიერი მასალა მრავლით უმრავლეს ხელნაწერებიდან, დაბადებიდან მოკიდებული, აგრეთვე სიგელ-გუჯრებიდან, ქართველ მეცნიერების გამოკვლევებიდანა და გამოცემებიდან. რაღა თქმა უნდა, ვისარგებლეთ ისეთ თვალსაჩინო მწერლებიდანაც, როგორც პეტრიწი, ხონელი, შოთა, ჩახრუხაძე, არჩილ მეფე, დ. გურამიშვილი, ბესიკი, ნ. ბარათაშვილი, ორბელიანები, ილია, აკაკი, ე. ნინოშვილი, ვაჟა ფშაველა, მოჩხუბარიძე, შ. არაგვისპირელი და მრ. სხ.

ამას გარდა შევიტანეთ ადგილობრივი სიტყვიერი მასალა საინგილოდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ამერეთ-იმერეთიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, რაჭიდან, აფხაზეთიდან, გურია-კლარჯეთიდან ჭანეთიდან. ჩვენს ნაშრომში მთლიანად შევიდა საბას ლექსიკონი შესაფერ შესწორებებით ახალი დროის სიტყვიერ შენაძენობის თუ ძველ ტექსტების მიხედვით.

ჩვენი შრომა შედგენილია სამეცნიერო აკადემიის მიერ გამოცემულ სლავურ-რუსულ ლექსიკონის მეთოდის მიხედვით: პირად ჩვენს განმარტებას მისდევს ტექსტი, რომელშიაც გვხვდება ესა თუ ის სიტყვა, ხშირად განსხვავებათა ჩვენებითაც, თუ ესეთი განსხვავება შეინიშნება სადმე.

ჩვენს ლექსიკონში სულ 104,442 სიტყვაა მაშინ, როდესაც საბასაშია მხოლოდ 18,651 სიტყვა, ჩუბინაშვილისაში 40.597.

ჩვენი შრომის ნაწილი მცირედ გადაათვალიერა პროფეს. ივ. ჯავახიშვილმა და გვირჩია წარვუდგინა წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. ამ საზოგადოებასთან პირობა უკვე დადებულია და ლექსიკონი დაიბეჭდება, თუ ქაღალდის მხრივ დაბრკოლება არ აღმოჩნდება.

მ. ჯანაშვილი.

---

რევოლიუციონურ ტრიბუნალის სამართალში და დაისჯებიან რევოლიუციონურ დროის კანონების მიხედვით.

5) წინადადება ეძლევა სასურსათო სახალხო კომისარს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მყოფი სასოფლო-მეურნეობის დარგის სპეციალისტები და ტეხნიკოსები დააკმაყოფილოს სურსათ-სანოვაგით პირველ რიგში დაწესებულ ნორმის მიხედვით.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე და მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე.

რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. აპრილის 24.

თფილისი—სასახლე.

## ზღვა ღელავს

აბობოქრდა ზღვა მქუხარე,
ზვირთი ზვირთზე შეატყორცნა,
ერთმანეთში ჩააქსოვა
კიდეს ეცა... გადაკოცნა.
ეშმაკი თმა აბურძგნით,
შიშის ზარმა აიტანა,
ბელზებელსაც შეეშინდა
და ქვესკნელში გაიპარა.
ფაფარ აყრილ მღელვარე ზღვის
ეშინიათ ბოროტ სულებს,
მუშა ხალხის მოღალატეთ
გაიძვერებს და ორგულებს.
და ამიტომ სადღეისოთ
მათ ასტეხეს ყრიამული:
„ქვეყანანი ილუპება“,
ვითომ სტკივათ მართლა გული.
მუშის გული კი სულ სხვას გრძნობს,
უხარია ცაში ფრინავს,
სულ სხვა ჰანგზე გრდემლს ამღერებს
ქურა ქუხს და ქურა გმინავს.
ზღვა მღელვარებს... და ტალღებით
გადალახავს ის ნაპირებს,
არ დაინდობს ქვეშ მოიქცევს,
ვინც რომ ღალატს დააპირებს.

Petr—rosa.

---

## ქალაქის რევკომის ბრძანება

№ 20. 1921 წლის 22 აპრილი

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუშათა ბინის საკითხის მოგვარების მიზნით არსდება კომისია შემდეგ პირთაგან: ამხ. რუბენ ლუკიანოვი და დევდარიანი, აღნიშნულმა კომისიამ ახლო დროში უნდა მოაწყოს ქ. თბილისის მუშათა ჩასახლება კარგ სახლებში, რომლის დროსაც უნდა იხელმძღვანელოს ზემოხსენებულ დებულებით.

1. კომისიის დადგენილებანი არ განსაჩივრდება.

2. კომისია მიუთითებს სათანადო რაიონებში ხალხს და გამოიმუშავებს გადმოსახლების გეგმას. ეს სახლები მაშინვე გადადის საბინაო განყოფილების ხელ შეუხლებელ განკარგულებაში და აგრეთვე ამ უკანასკნელს მოჰყავს სისრულეში კომისიის მიერ გამომუშავებული გამოსახლების გეგმა.

3. მუშებისთვის დანიშნულ სახლებიდან უნდა გადასახლდეს ყველა გარდა: ა) ექიმ სა, რომელიც ამ სახლის მცხოვრებთათვის იქნება საჭირო.

შენიშვნა: 1) თუ ერთსა და იმავე სახლში რამდენიმე ექიმია, მაშინ სახლში რჩება მხოლოდ ერთი ექიმი კომისიის გადაწყვეტილებით. 2) ექიმის ბინაში შეიძლება ჩასახლებულ იქმნას ვინმე საერთო წესით. 3) მუშებისა, რომელნიც ფიზიკურ შრომას ეწევიან.

4) ყველა გადასახლებულთ საბინაო განყოფილების მიერ ეთმობათ სათანადო ბინა სხვა სახლებში.

შენიშვნა: საბჭოთა დაწესებულების თანამშრომელთ კომისიის გადაწყვეტილებით ეძლევათ გადატანის საშუალებანი.

5. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმ მუშათა გად სახლება, რომელთაც ბინა დაიკავეს საბინაო განყოფილების ორდერით.

6. საბინაო განყოფილებამ ჩასახლებულ მუშებისთვის დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს ნაწილი იმ ავეჯისა, რომელიც აღრიცხულია, ან საწყობში იმყოფება.

შენიშვნა: საბინაო განყოფილების მიერ გადადებულ ავეჯის სია დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს კომისიას, რომელიც არკვევს მუშათა ბინის გაუმჯობესების საკითხს.

7. მუშებისთვის დანიშნულ სახლებში მთელი ავეჯი რჩება ადგილობრივ.

შენიშვნა: კომისიის გადაწყვეტილებით გადასახლებულთ დაეთმობათ მათთვის აუცილებელი ავეჯი.

8. მუშებისთვის დანიშნულ სახლში ჩასახლების და გადასახლების პერიოდში ინიშნება კომენდანტი, რომლის ფუნქციებიც ისპობა სახლის კომიტეტის არჩევის შემდეგ.

ქალ. რევკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ვაშაძე.

---

## ქრონიკა

**250,000 მანეთის გადადება.** საქართ. რევკომმა სახ. დრამის კომისარს ი. ზარდალიშვილს გადასცა 250 ათასი მანეთი გარდაცვალებულ ბეგლარ ახოსპირელის დასაკრძალავ ხარჯების დასაფარავად.

**ბ. ახოსპირელის გარდაცვალების გამო.** საქ. მწერალთა კავშირის საბჭო მწუხარებით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას საბჭოს წევრის ბეგლარ ახოსპირელის გარდაცვალებას.

**სურსათის მოტანა.** 26 აპრილს ტფილისში მოვიდა სადგურ წნორისწყლიდან სამი ვაგონი ხორბალი, ხოლო დასავლეთის ნაწილიდან 5 ვაგონი ხორბალი.

**1 მაისობის დღესასწაულის გამო.** 1 მაისობის დღესასწაულის მომწყობმა კომიტეტმა მიანდო ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას დაამზადოს პირველ მაისისათვის, ბოჭკები ნადუღი წყლით ხალხის სასმელად ყველა იმ პუნქტებში, სადაც ხალხი თავს მოიყრის დღესასწაულის დროს, განზრახულია ამ საქმისთვის გამოიყენონ სალაშქრო სამზარეულოები ჯარის ნაწილებისა.

**პროფესორების და ასისტენტების ბინები.** საქ. რევკ. თამჯდ. მოადგილემ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ორახელაშვილმა მისწერა ცენტრალურ საბინაო განყოფილებას უნივერსიტეტის და სხვა უმაღლეს სასწავლებლის პროფესორებისა და ასისტენტების ბინებს რეკვიზიცია არ გაუკეთონ, და შიგ არავინ ჩაასახლონ. გამონაკლისს შემთხვევებში, როდესაც ჩასახლება ბინის სიფართოვის გამო აუცილებელი იქნება, მაშინ უნდა ჩასახლებულ იქმნას არა უცხო პირი, არამედ ვინმე უნივერსიტეტის მასწავლებელთა პერსონალიდან.

**იტალიის გემის მოსვლა.** საგ. საქმეთა სახ. კომისარიატის ცნობით 30 აპრილს ბათომში მოვა იტალიის გემი „ჩემო“.

**წყალსადენი.** ქალაქის წყალსადენის დირექციამ საქართველოს ს. ს. რ. რევკომისაგან მიიღო ცნობა, რომ აზერბეიჯანის საბჭოთა მთავრობას თბილისის წყალსადენის საჭიროებისათვის შეუძლიან მისცეს ჯერ 500 ფუთი ზაბი იმ საერთო რაოდენობიდან, რომელიც იყო შესყიდული ყოფილ ქალაქის გამგეობისაგან, განჯაში კურპერმანის ქარხანაში.

**ცხენოსანი მილიცია.** თბილისის ქალ. რევკომის დადგენილების თანახმად დაიწყო თბილისის მილიციის უფროსის სამართველოსთან შედგენა მილიცრელთა ცხენოსან ასეულისა.

**ქურდობის შემცირება.** თბილისის საუბნო კომისრების ყოველ დღიურ მოხსენებებიდან ირკვევა, რომ უკანასკნელ ხანში ქურდობა და სხვა დანაშაულობა ქალაქში შესამჩნევათ შემცირდა.

**ქ. სასურ. კომიტეტის მიერ ნავთის დარიგება.** ქ. ს. კომიტეტი უკვე შეუდგა მუშათა მაგიდის საშუალებით აპრილის ხვედრ ნავთის დარიგებას. საბჭოთა დაწესებულებებს და წარმოებებს ნავთი მიეცემათ უფასოდ, არა საბჭოთა კი 20 გირვანქა 100 მან. ნორმა ძველია; მოსამსახურეზე 20 გირ.

**საათის ისრის გადაწევა რკინის გზაზე.** ტელეგრაფის უფროსმა ბაქოდან მოსწერა ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველოს, რომ 24--26 აპრილს რკინის გზის საათი უნდა გადაწეულ იქმნას $1 \frac{1}{2}$ საათით ოპერატიულ დროთი, რადგან, ბაქომ რიცა გამოგზავნა ცნობა საათის ისრის გადაწევის შესახებ, საფუძვლათ მიიღო ბაქოს დრო, რაც იძლევა განსხვავებას კიდევ $1 \frac{1}{2}$ საათით წინ ტფილისის დროს მიხედვით, ამიტომ რკინის გზის საათი ტფილისში უნდა გადაწეულ იქმნას 2 საათით წინ.

---

## ამხ. ფილ. მახარაძ ს მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში

**გურია**

15 აპრილს, დილის 10 საათზე ბათუმიდან წამოსული ამხ. ფილიპეს მატარებელი ნატანების სადგურზე იყო უკვე ჩამომდგარი

მატარებლიდან გადმოსულთ, — სანამ ჩვენთვის გამზადებულ ავტომობილებში ჩავსხდებოდით და გაუდგებოდით ოზურგეთისაკენ, ნატანებში დაგვახვედრეს მუშებისაგან შემდგარი პატარა მიტინგი სადაც წარმოთქვეს მოკლე მისასალმებელი სიტყვები—ამხ. ფილიპემ, ალ. ერქომაიშვილმა და ოზურგეთიდან შემოგებებულ რევკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ან. დოლიძემ.

აქ დიდ ხანს აღარ დავგვიყოვნებია რადგან, როგორც გვაცნობეს, 12 საათისთვის ოზურგეთში გველოდა დიდი მასიური მიტინგი.

ჩვენ გავსწიეთ გამალებით.

ოზურგეთს რომ მიუახლოვდით რამდენიმე ვერსით, გზაში შემოგებებულმა ამხანაგებმა შეგვაჩერეს და მიგვითითეს 1919 წ. გიორგობისთვეში გურიის აჯანყების მონაწილე ჩვენი ამხანაგების მენშევიკების მიერ ვერაგულათ დახვრეტის იმ ადგილზე, სადაც ეს „განაჩენი“ ასრულებულ იქმნა. დახვრიტეს შემდეგი ამხანაგები.

1) პარმენ მამალაძე, 2) თეოფილე თედორაძე, 3) ბენია ბერიძე, 4) ტარასი მინდაძე, 5) ფილარა გოგვაძე, 6) ავთანდილ მამალაძე, 7) მიხაკო ბერძენიშვილი, და 8) ანდრო ახალაძე.

ნახევარ საათში ჩვენ უკვე ოზურგეთის ბულვართან არსებულ დიდ მოედანზე რევკომის მიერ გამართულ მრავალ რიცხოვან მიტინგში ვერიეთ და მჭიდროთ შეჯგუფებულ ხალხთა რკალის გარღვევით ამხანაგები მიგვიძღოდენ იქითკენ სადაც სპეციალურათ გამართათ ცოცხალი ყვავილებით შემკული ტრიბუნა.

ჩვენ უკვე ტრიბუნაზე ვიყავით.

ამხანაგ ფილიპე მახარაძეს, ხანგრძლივი ტაშის კვრით მიეგება ზღვა ხალხი.

მიტინგი გახსნა გურიის ცეკას მდივანმა ამხ. გრიგოლ მგალობლიშვილმა.

პირველათ ამხ. ფილიპესადმი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს,—პარტიის სახელით ამხ. გურგენიძემ და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის სახელით ამხ. გვარჯალაძემ. მათ ორივემ აღნიშნეს ამხ. ფილიპეს მოღვაწეობა. „ჩვენ, ახალგაზრდა კომუნისტები გეფიცებით, თქვენ ჩვენო ბელადო და მასწავლებელო, რომ იმ იდეისთვის, რომლითაც გკვებენ ჩვენ, ან ყველანი ერთად დავისოცოთ, ან გავიმარჯოთ თქვენთან ერთად“. დაათავა სიტყვა უკანასკნელმა.

შემდეგ მიმართა ხალხს ამხ. ფილიპემ გურიის მშრომელო ხალხო, ამხანაგებო, გლეხებო და მუშებო,—მოგესალმებით თქვენ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელით და გისურვებთ მედგ, რათ წინ სვლას იმ გზაზე, რომელზედაც დიდი ხანი არ არის რაც თქვენ შესდექით... ამხანაგებო! მე დღეს პირველად მეძლევა საშუალება მოგმართოთ თქვენ თავისუფალმა, და გითხრათ სიტყვა, სიტყვა მართ ლი, რომელიც ჯერ არ გსმენიათ, და თუ გსმენია ძალიან იშვიათად სიტყვა რომლის გაგონებას გიშლიდათ თქვენ მენშევიკური მოღალატე მთავრობის მიერ აღმართული მაღალი კედლები შავი ფარდებით დაფარული“. ამხ. ფილიპე შეეხო მენშევიკების ნამოქმედარს მენშევიკების მიერ გავრცელებულ ჭორებს ბოლშევიკების წინაამდეგ და და დაასკვნა: მათ მოსწამლეს მთელი არემარე, ისინი გინერგავდნენ თქვენ შიშს, სიძულვილს იმ კომუნისტურ პარტიისადმი, რომელიც მთელ მსოფლიოზე ერთად ერთი ცდილობს ღარიბ-ღატაკი ხალხის დამჩაგვრელ კაპიტალიზმის ბრჭყალებიდან გამოგლეჯას, ერთად ერთი უდგას დარაჯათ ყველა ქვეყნების მშრომელ ხალხს და დაბეჩავებულ, უფლება წართმეულ წვრილ ერებს. — ორატორი შეეხო საბჭოთა მთავრობის შემოქმედებითი მუშაობას თუ რის გაკეთება სურს, რა შეუძლია მას და სთქვა: ჩვენ არ გვიყვარს ბევრსიტყვაობა; ჩვენ მეტად ვსთვლით კარგ და ლამაზ სიტყვების ხმარებას. თქვენ უნდა დაგაჯეროთ საქმით, ცოცხალი, მეტყველი საქმით. ჩვენ ვიწყებთ ამ საქმეს იქიდან, რის გაკეთებაც ახლავე ძალგვიძს. ამხ. ფილიპემ შეეხო მიწების გლეხებზე უსასყიდლოთ გადაცემას, ფაბრიკა-ქარხნების კაპიტ. ჩამორთმევას და მის ბატონ პატრონათ მუშების გახდომას და დაასკვნა: ჩვენ არ ჩამოვალთ ამ გზიდან, რაზედაც უკვე მაგრად გვიდგია ფეხი, და აქ, სანამ დარაჯათ ვუდგომებით მშრომელ ხალხს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენც ჩვენთან ერთად იქნებით. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ ილაპარაკა ამხ. ალ. ერქომაიშვილმა. მან აღნიშნა მენშევიკების წარსული, შეეხო იმათი პოლიტიკით შექმნილ სახელმწიფო მდგომარეობას და იმ პირობებს, რომელმაც მენშევიკების „დემოკრატიული რესპუბლიკა“ შესცვალა დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათ. როდესაც მენშევიკების მიერ „გაცემულ ვექსილთა“ განაღდების დრომ მოაღწია—სთქვა მან—მაშინ დადგა მათი აღსასრულის დღე, რომლის შედეგი თქვენ უკვე იცით ჩვენთან ერთად,—ის შეეხო რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის მიერ გამოჩეული მოღვაწეების როლს საქართველოს ვითომდა ნაციონალურ აღმშენებლობაში, მის დამოუკიდებლობის დაცვაში და სთქვა: თქვენ გაგვგონებათ ბ-ნი ვოიტინსკი,—ეს რუსეთის რევოლიუციის დეზერტირი, რუსეთის პროლეტარიატის მოღალატე მენშევიკებმა მიიღო, მენშევიკებმა შეიფარა იგი; მანაც დააფასა ეს, და აღუთქვა საქართველოს ეროვნულ „აღორძინება-წარმატებაში“ მონაწილეობის მიღება, რაც იმაში გამოიხატა, რომ რუსეთის მუშურ-გლეხურ მთავრობას, რუსეთის გმირ პროლეტარიატს, რომელიც ტიტანიურ ბრძოლას ეწეოდა მსოფლიო კაპიტალისტებთან, სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უმართავდა ძველი, უქმათ მყოფების საბატონო ქვეყანას, რომელი ბრძოლის შედეგით თვით მენშევიკურ საქართველოსაც სწვდებოდა იმით, რომ ერის თავისუფლებას იცავდა, გაუმაძღარ ანტანტის მადას საზღვარს უდებდა. აი ამ რუსეთის მთავრობას ის ტალახით თითხნიდა, საზიზღარ ჭორებს ჰქმნიდა მის წინააღმდეგ, დ უჯერებელი სენსაციურ ცნობებს თხზავდა ბოლშევიკების ცხოვრებიდან, რომ შეეძულებია რუსეთის პროლეტარიატი ქართველი მშრომელი ხალხისთვის. ამხ. ალექსანდრემ დაბოლოს მიმართა მიტინგში მყოფ მოფუსფუსე მენშევიკებს, რომლებიც, როგორც გამოირკვა, ახლაც აგრძელებდენ ბოლშევიკების საწინააღმდეგო სხვა და სხვა ჭორების ვრცელებას, და გააფრთხილა ისინი.

ამით დაიხურა ოზურგეთის მიტინგი. საღამოს 4 საათზე ასეთივე. მიტინგი შესდგა ლეხოურში, სადაც ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს—ამხ. ფილიპემ, ალ. ერქომაიშვილმა, თედორე დოლიძემ და ვარდენ კალანდაძემ.

ხალხი ძლიერ კმაყოფილი დაიშალა.

16 აპრილი. შემოქმედი.

ამ დღეს, დილის 12 საათზე შესდგა მიტინგი შემოქმედში.

მიტინგი გახსნა ამხ. ან. დოლიძემ.

მიტინგის გახსნის წინ, მოწაფეთა მომღერალი გუნდის მიერ შესრულებული იქმნა ქართულათ ინტერნაციონალი.

პირველათ ილაპარაკა ამხ. ფილიპე მახარაძემ; ის მიესალმა მიტინგს შემდეგ შეეხო მენშევიკების მიერ საქართველოს რუსეთთან მოწყვეტის მიზეზებს და სთქვა: როდესაც რუსეთში ნიკოლოზ მეფის სულ-შემხუთავი რეჟიმი არსებობდა, მენშევიკებს აზრათ არ მოსდიოდათ რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტა, პირიქით ამის რამოდენიმეთ მოსურვე ფედერალისტებს და ნაციონალ დემოკრატებს ისინი ჯვარზე აცმას უპირებდნენ; ხოლო 1917 წ. ოქტომბრის თვეში, როცა რუსეთის პროლეტარიატმა გამოგლიჯა თავის კლასობრივ მტერს, ბურჟუაზიას, სახელმწიფო ძალა-უფლება ხელიდან, და ამით სხვა ქვეყნების პროლეტარიატსაც გაუწოდა დამხმარე ძლიერი ხელი, ჩვენი „სოციალისტ“ მენშევიკები სოციალიზმის სამტროთ, ბურჟუაზიის სამოყვროთ, ჩამოშორდნენ პროლეტარულ რუსეთს; მათ უღალატეს ამით არა მარტო რუსეთის ხალხს, უღალატეს ქართველ მშრომელ ხალხსაც, და საერთოდ მოატყუილეს მთლიანად აღებული ქართველი ერი... თუ ვინმეს კი აინტერესებდა საერთოდ დაჩაგრული წვრილი ერების დამოუკიდებლობა, ეს ისევ რუსეთის პროლეტარიატს საბჭოთა მთავრობის სახით. მაგრამ მენშევიკები ხომ ასე არ მოქცეულან! მათ ხომ თავიანთ პირადი ბედნიერების საფასურათ ქართველი მშრომელი ხალხი მიჰყიდეს გაუმაძღარ ანტანტას—და მას შემდეგ, რა დღიდანაც ჩვენმა მენშევიკებმა ხალხის მტრებს დაუკავშირა თავიანთი ქვეყნის ბედი, აქ არც შეიძლებოდა არ ეღალატათ ხალხისთვის, და უღალატეს კიდევაც მას.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. ალ. ერქომაიშვილმა. ის დიდხანს შეჩერდა მენშევიკების ღალატზე და ...ბრძოლის ...ზე პრინციპს მიწის განაწილებისას ...ის მომუშავეთა შორის და დაასკვნა: ცხადია, თავისუფალ ზედმეტ მიწებს, რომლებსაც ჩვენ ჩამოვართმევთ მემამულეთ თუ მსუქან „გლეხს“, არ გავგზავნით მოსკოვში ლენინისთვის ან და კიდევ ამხ. ფილიპე არ მიისაკუთრებს მათ არამედ ისინი გადავა უმიწაწყლო ღარიბ გლეხ კაცობის განკარგულებაში. რასაკვირველია ამ მიწებს რომელსაც თქვენ რა თქმა უნდა არ დატოვებთ უქმათ,—დაიმუშავებთ. ჩვენ არ მივსცემთ ნებას იმდენი მიწები იქონიოს ვინმემ, რომ შესძლოს სხვის დაქირავება-დამონება...

დასასრულ ამხ. ან. დოლიძემ წარმოადგინა წარმოთქმული სიტყვების შესაფერისი მოკლე რეზოლიუცია, რომელიც ორი-სამის გამოკლებით თითქმის ერთხმად იქმნა მიღებული.

მიტინგი მომღერალ გუნდის მიერ ინტერნაციონალის შესრულებაში დაიშალა.

ხევსატი.

(გაგრძელება იქნება)

---

## მიტინგ-კონცერტი „წითელი აღმოსავლეთი“

ტფილისში მომხდარ მიტინგებსა, სხდომებსა, კრებებსა და სხვათა შორის არ ყოფილა ერთი ისეთი რევოლიუციონურ აღმოსავლეთს რომ შეხებოდეს. ამ ნაკლის შესავსებად კავროსტას აღმოსავლეთის განყოფილებამ თეატრ „ტარტოს“ში გამართა მიტინგ კონცერტი, რომელმაც აუარებელი ხალხი მიიზიდა. რევოლიუციონურ ბრძოლისადმი აღტაცებულმა მოწოდებებმა, ესტრადიდან რომ ისმოდა, და ქართულ, სომხურ, ოსმალურ, სპარსულ და მრავალ სხვა და სხვა ენაზე წარმოთქმულმა სიტყვებმა კრების დიდი აღტაცება გამოიწვია. კავროსტის აღმოსავლეთის განყოფილების სახელით ამხ. გურკომ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა რუსეთის მიზნების შესახებ აღმოსავლეთში, გზა და გზა შეეხო რევოლიუციონურ მოძრაობას, რომელსაც აზიის ყველა ქვეყნებში აქვს ახლა ადგილი. რუსეთის მიზნები აღმოსავლეთში შეიცავს სამ ძირითად დებულებას: ცოცხალ რევოლიუციონურ ძალების ორგანიზაცია, ნაციონალიზმის და შოვინიზმის დაძლევა და პოლიტიკურ გადატრიალებათა გადაქცევა სოციალურ რევოლიუციებად კომინტერნის მიერ შემუშავებული ლოზუნგების თანახმად. ეხლა მენშევიკებზე გამარჯვების შემდეგ, აღმოსავლეთის კარები განივრად გაიღო, აღმოსავლეთის რევოლიუციის საქმეში თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღოს საბჭოთა საქართველომაც, რაც გამარჯვების საუკეთესო თავდებია შემდეგ საქართველოს კომპარტიის ც. კ. წარმომადგენელმა აღნიშნა საქართველოს განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც აღმოსავლეთის და დასავლეთის ბუნებრივ ხიდის. საქართველოს ძალა მდგომარეობს ამიერ-კავკასიის ძმურ რესპუბლიკებსა და საბჭოთა რუსეთთან შეერთებაში, რასაც ამტკიცებს ეხლახან დადებული რკინის გზის ხელშეკრულება. წითელი საქართველო მთელ თავის ენერგიას მოახმარს აღმოსავლეთის განთავისუფლებას. შემდეგ ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის სომხურ და თურქულ სექციების წარმომადგენლებმა; ასურელ და აბხაზ კომუნისტებმა აღტაცებული სიტყვებში დაგმეს დასავლეთის იმპერიალიზმი და მოუწოდეს აღმოსავლეთის ყველა რევოლიუციონურ ძალებს გაერთიანებისაკენ გასანთავისუფლებლად. მიტინგის გათავებისას მიღებული იქმნა ქვემოთ მოყვანილი რეზოლიუცია, რომელიც გაეგზავნა ბაქოში—აღმოსავლეთ ხალხების პროპაგანდის და მოქმედების საბჭოს, მოსკოვში ლენინს, კომინტერნს ზინოვიევს, ამხ. ჩიჩერინს, აზერბეიჯანის, საქართველოს, დაღესტნისა, აფხაზეთის და სომხეთის რევკომებს. საკონცერტო განყოფილება საინტერესოდ იყო შედგენილი. აღმოსავლეთის მუსიკის რამდენიმე ნომერი შეასრულა ორკესტრმა ამხ. კარახანის ხელმძღვანელობით. არუს ვოსკონიამ შეასრულა რამდენიმე აღმოსავლეთური ცეკვა. შემდეგ იყო დეკლამაცია პაოლო იაშვილის და ი. უშაკოვის რევოლიუციონურ ლექსებისა თურქული ხორის სიმღერა, რამდენიმე ვოკალური და სკრიპკაზე შესრულების ნომერი და სხვა.

მიტინგის რეზოლიუცია: „კავროსტას აღმოსავლეთურ განყოფილების მიერ მოწყობილი მიტინგი თბილისში, კავკასიის და აღმოსავლეთის ყველა რევოლიუციონურ პარტიების მონაწილეობით შემდგარი, მოგესალმებათ თქვენ მსოფლიო პროლეტარიატის მეთაურებს და თავისუფალი პროლეტარულ საქართველოს გული გისურვებს თქვენ განაგრძოთ ბრძოლა თანდათანი წარმატებით აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მასების განთავისუფლებისთვის. ვიმყოფებით რა საბჭოთა საქართველოში, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლეთის კარებს წითელ აღმოსავლეთისაკენ, ჩვენ ველოდებით იმ წუთს, როდესაც აქტიურად დაგვეხმარებით ჩვენ მოძმეთ აღმოსავლეთში, მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ კომინტერნის ლოზუნგებში ვხედავთ აღმოსავლეთის მრავალ მილიონიან პროლეტარიატის და გლეხობის ხსნის გზას.

გაუმარჯოს აღმოსავლეთის ყველა დაჩაგრულთა ერთობას საბჭოთა რუსეთთან.

# სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოთ

აგერ რამოდენიმე წელიწადია მ საქეთ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილო არსებობს, მაგრამ, თუ გულახდილათ, სრულიად ობიექტიურად ვიტყვით, არასოდეს არ მიდიოდა სასურველად მისი საქმე.

იმ რესურსების საშუალებით, რომლებიც სასადილოს მოეპოვებოდა, გაცილებით უფრო კარგ ნიადაგზე შეიძლებოდა მისი მოწყობა და სტუდენტთა სასარგებლოთ გამოყენება.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ქრონოლოგიურად იმის ჩამოთვლას—თუ რა ხდებოდა რამოდენიმე წლის განმავლობაში სტუდენტთა სახელით და სტუდენტთა ხარჯზე, მხოლოდ გაკვრით ვიტყვით შემდეგს: ერთ-ერთ წლიურ საანგარიშო კრებაზე ყოფილმა გამგეობამ განაცხადა, რომ სასადილოში და კარგა მაშინდელი კურსით რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ავეჯეულობა. მაგალითად; სტოლ საფრები, თეფშები, დანა ჩანგლები და სხვა...

იყო აგრეთვე შემთხვევა, რომ ევრეთ წოდებულ სასადილოს გამგეობის ერთ ერთ წევრს თურმე ჯიბე აღმოაჩნდა გახეული და რამდენიმე ათი ათასი მანეთი დაეკარგა. ერთ მათგანს უნებლიეთ ანგარიშში გადაუყვა ასეთივე თანხა. გახსნეს სტუდენტთა სახელზე კოოპერატივი სახელწოდებით „ჩვენი ოჯახი“ რომლის საშუალებით მართლაც კარგათ მოირთო ბევრის ოჯახი.

გადიქცა ეს კოოპერატივი სხვა და სხვა ჯურის სპეკულიანტთა საწყობათ და საქონლის გადასაცვლელ სახლათ. გარდა კოოპერატივის პირდაპირი დანიშნულების ის ყოველისფერს ემსახურებოდა ასე რომ სახელი ჩვენი იყო ხოლო შინაარსი და სარგავი კი მათი.

მაგრამ ამას ვინლა ჩიოდა.

ცდილობდა ყოველთვე ეს სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა და გადაწყვიტა ასეთი ბოროტების ძირფესიანათ აღმოფხვრა, ამისათვის არა ერთხელ მიმართა თხოვნით ვადა გასულ გამგეობას, რათა მოეწვია სტუდენტთა საერთო კრება და მოეხდინა გამგეობის ახალი არჩევნები და მით მოესპოთ ის ბოროტმოქმედებანი, რომელსაც ადგილი აქვს სტუდენტთა სასადილოში.

ამასთანავე ამ ჯგუფმა განაცხადა, რომ ახლად არჩეული გამგეობა ჩაუდგება სათავეში სასადილოს და ერთ ერთი ჩვენი ამ ჯგუფის წარმომადგენელი ეყოლება კანტროლის სახით.

მაგრამ პასუხს ვეღარ ვღირსეთ. უკანასკნელად, 20 ამა აპრილს, ჩვენმა ორგანიზაციამ მიმართა წერილობით კრების მოწვევის შესახებ, მაგრამ, როგორც წინათ, უყურადღებოთ იქნა დატოვებული.

სასადილოს საზოგადო კვების განყოფილების ხელში გადასვლა აუცილებელი იყო, რადგან ის (სასადილო) ამით მიიღებდა მთავრობიდან უფასოდ სურსათ-სანოვაგეს და სადილი სტუდენტთათვის სრულიად უფასო იქნებოდა.

მაშინ, როდესაც არჩეულ გამგეობის ხელში სადილი სტუდენტს უჯდება 600—1000 მან.

მაგრამ გამგეობა ოდნავადაც არ შეუშვიდა სტუდენტთა უწვეო მდგომარეობაში ან როდის იყო, რომ მაძღარს მშიერი აგონდებოდა და კვლავ განაგრძო ძველებურად „მოღვაწეობა“.

ამას შემდეგ კომუნისტ სტუდენტთა ორგანიზაციას არა დარჩენოდა, რა მიექცია ამ გარემოებისათვის მუშათა მაგიდის ყურადღება.

მეთვალყურე.

# პროფესიონალურ კავშირებში

**საქართველოს რევკომს**

ახლათ გახსნილი თფილ. კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა საწარმოო კავშირის დელეგატთა ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა საქართველოს უმაღლეს ორგანოს, რევკომს. ღრმა კმაყოფილების გრძნობით გამსჭვალული ყრილობა სდგას რა ფართოთ გაშლილ მომავალი მუშაობის პერსპექტივების წინაშე რესპუბლიკის სასარგებლოთ, მას სწამს, რომ ის სინდისიერათ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, დარწმუნებული, რომ გზა მძლავრი საწარმოო კავშირების შესაქმნელათ ჩვენ მიერ უკვე გაკაფულია. ვგრძნობთ რომ მხოლოდ ჩვენზე, მთლიანათ ჩვენზე არის დამოკიდებული ჩვენივე თავისუფლება და ბედნიერება.

გაუმარჯოს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს წინამძღოლებს.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს.

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს.

გამგეობის თავმჯდომარე **მ. ხლუცკი.**

მდივანი **მ. შირიაევი.**

**მოსკოვში**

**სრულიად რუსეთის კომ. მეურ. მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს.**

19 აპრილს 1921 წ. ქალ. თბილისში გახსნილი კომუნ. მეურნ. მუშაკთა კავშირის დელეგატთა ყრილობა, შეუდგა რა მუშაობას პროფ. კავშირების შესაქმნელათ, მოვალეთ თვლის თავის თავს მოგესალმოთ თქვენ კომ. მეურ. მ. ს. რ. ც. კ. და მთელი რუსეთის პროლეტარიატს,—თავის მედგარ მოძმეთ, რომლებმაც ომის ქარცეცხლში და წარმოუდგენელ დაბრკოლებათა წინააღმდეგ შესძლო შექმნა მძლავრი საწარმოო აპარატი, შესძლო ჩაეშალა ყველა მტრების ბოროტი ზრახვები და შექმნა მშრომელი მასსების საკეთილდღეოთ ცხოვრება.

დე, იყოს ჩვენთვის სამაგალითოთ თქვენი შეუდრეკლობა შრომაში, რომლის პროცესში ჩვენ შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ვართ ჩუენი მასწავლებლების ღირსეული მოწაფენი.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშებს, რომლებმაც ხელში მახვილით დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიანთ გამოსჭედონ თავიანთი ბედნიერება ძველი ქვეყნის სასიკვდილოთ.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადს ამხ. ლენინს!

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს!

**თბ. კომ. მეურნ. მუშ. ყრილობა.**

გამგეობის თავმჯდომარე **ხლუცკი.**

მდივანი **ნ. შირიაევი**

**სალამი ფოთელი პროფკავშირებისაგან**

პროფკავშირების საბჭომ მიიღო ფოთიდან შემდეგი დეპეშა: „მოისმინა რა ამხ. თოდოლავაძის მოხსენება, ქალაქ ფოთის მუშათა კრება, სალამს უთვლის მშობლიურ ორგანოს და ჰპირდება აქტიურ დახმარებას სახალხო მეურნეობის საწარმოვო კავშირების აღმშენებლობაში და ყოველნაირ შველას საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც მუშებისა და გლეხების სულსა და გულს შეადგენს. გაუმარჯოს პროფესიონალურ საწარმოვო კავშირების საბჭოს საქართველოს მთელ მუშათა კლასის შემაერთებელს.

კრების თავმჯდომარე **გოგია.**

# მუშათა ცხოვრება

**მიტინგი მთავარ ავტო-სახელოსნოში.**

23 აპრილს საავტომობილო მთავარ სახელოსნოებში (საავგიტაციო პუნქტში № 20) გრუპის თანამშრომელმა ამხ. ვანეციანმა გამართა მიტინგი, სადაც ილაპარაკეს ამხ. დედიამ, შაფრანმა და ალექსანიანმა თემაზე: „პროლეტარიატის ხელისუფლება, ეკონომიური კრიზისი და საბჭოთა აღმშენებლობა“. მიტინგის დასრულებისას ინტერნაციონალის ძლიერ სიმღერაზე ერთხმად მიღებულ იქმნა, თავმჯდომარის ამხ. ვანეციანის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია; „ჩვენ, საავტომობილო მთავარ სახელოსნოების მუშებმა, მოვისმინეთ რა მიტინგზე ორატორების სიტყვები, დავადგინეთ, რომ საქართველოს პროლეტარიატის ინტერესების ერთად ერთი გამომხატველი, ერთად ერთი დამცველი და მებრძოლი პროლეტარულ მასების საქმისათვის არის მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, ამიტომ ფიცსა ვსდებთ ყოველი ღონისძიებით მხარი დაუჭიროთ პროლეტარიატისთვის ერთად ერთ შესაძლებელ და მისაღებ წესწყობილებას და მივესალმებით საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს. მუშები ფიცსა სდებენ, რომ თავისი გულმკერდით დაიცავენ მას, მჩაგვრელ კონტრ-რევოლიუციონურ განზრახვებისაგან გაუმარჯოს დიდ ოქტომბრის, პროლეტარულ რევოლიუციას, ახალი ქვეყნის, ახალი ცხოვრების შემომქმედს; გაუმარჯოს გმირ წითელ ლაშქარს, რომელსაც მოაქვს ჩაგრულ ქვეყნისათვის თავისუფლების და ბედნიერების სხივები. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლთ ამხ. ლენინს და ტროცკის. გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატის მეთაურებს ამხ. ცხაკაიას და მახარაძეს. გაუმარჯოს განთავისუფლებულ აღმოსავლეთის თავისუფალ ხალხებს.

# საქართველოს წითელ ჯარში

ამა წლის 19 აპრილს ავლაბარში კინო-თეატრ „უნიკა“-ში შესდგა პირველი მრავალ რიცხოვანი მიტინგ-კონცერტი, რომელიც გამართა საქართველოს წითელ ლაშქრის პოლიტიკურ განათლების სექციამ.

ვრცელი მოხსენება გააკეთეს წითელ ლაშქრის მოვალეობა დანიშნულებიზე და საბჭოთა აღმშენებლობაზე ამხანაგებმა პოლიტიკურ კომისარებმა ოქუჯავამ მედიჩმა და ლევ-განდიგმა.

მიტინგს დაესწრო 1000 კაცამდე. ორატორების მოხსენების შემდეგ, რასაც ხალხი დიდი აღფრთოვანებით ისმენდა, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ წითელ არმიელები, და მოსამსახურეები სამხედრო სასურსათო საწყობის, სამხედრო წისქვილს და საავეჯო საწყობს მთავარ სამხედრო სამართველოს ს. ს. ს. რ., მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ოქუჯავას, მედიჩის და ლ. ტანდიტის, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ ყველა, როგორც ერთი კაცი მზათ ვართ იარაღით ხელში, პირველ გამოძახილისთანავე უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ საქართველოს სოციალისტური მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა.

ამასთანავე ჩვენ ზიზღს ვუცხადებთ გაქცეულ ყვითელ სოციალ-გამცემლებს მენშევიკებს, რომლებიც მუხანათურათ ვღალატობდა და უნდოდა, მუშები და გლეხები საქვეყნო ყაჩაღ იმპერიალისტ ანტანტისთვის მიეყიდნათ.

საბჭოთა ხელის უფლებამ ბოლო მოუღო კაპიტალისტების, მემამულეების, შავ გვარდიელების, გამყიდველ მენშევიკების მეფობას.

დარწმუნებული ვართ, რომ, ჩქარა დადგება ჟამი საქვეყნო პროლეტარულ რევოლიუციისა, რისთვისაც ჩვენ მზად ვართ არ დავზოგოთ ძალა და ენერგია საბჭოთა ხელისუფლების ყველა ფრონტებზე.

გაუმარჯოს პროლეტარიატის ბელადებს ამხ. ლენინს, ტროცკს და ზინოვიევს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ბელადებს ამხ. ფ. მახარაძეს და მიხა ცხაკაიას.

გაუმარჯოს რუსეთის წითელ ლაშქარს და ახალ შობილ საქართველოს ახალგაზრდა წითელ ლაშქარს.

მიტინგის შემდეგ გაიმართა საუკეთესო არტისტულ ძალების დახმარებით საკონცერტო განყოფილება პროლეტარულ პოეტ ამხ. ლ. ტანდიტის ხელმძღვანელობით.

ხალხი დიდათ კმაყოფილი დარჩა და ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა.

# პროვინციაში

**ქართლი.**

ქართლელი „ტეტია“ ყველასაგან აბუჩათ იყო აგდებული და მისი გულწრფელობა ფეხქვეშ ითელებოდა, მაგრამ „რაც გინახავთ ვეღარ ნახავთ“. დრონი იცვალნენ, დრონი მეფობენ.

ისტორიის საუნჯეში ჩაესვენა მთელი ჩვენი წარსული და მომავალის შესაქმნელათ ამოძრავდა მუშათა ქველი მარჯვენა. განცდილმა გარდატეხის მოკლე, მაგრამ ღირს შესანიშნავმა ხანამ მაგარი ბეჭედი დაასვა ქართლელ გლეხის ფსიქოლოგიასაც და ძირითადათ შესცვალა იგი. დღეს თქვენ იშვიათად შეხვდებით შუბლ შეკრულს, წელში გახრილს, მონური კილოთი მოლაპარაკე ქართლელ გლეხს; დღეს იგი ილვიძებს, მენშევიკებისაგან ბურუსით მოცულ პოლიტიკას არკვევს და ახალი ფიქრით, ახალი გზით, დინჯათ, მაგრამ მკვიდრი ნაბიჯით მიდის შრომის სამეფოსაკენ.

გადაავლეთ თვალი ქართლის ახლ ცხოვრებას, გაეცანით ჩვენი სოფლის მუშის გოდება-იმედებს, პირუთვნელათ ასწონეთ მისი გულის თანანადები და მაშინ თქვენ წინ აღიმართება დიადი შეხედულება ქართლელი მაშვრალისა. მას სწყურიან ახალის გაგება—შეთვისება; სწავლა-განათლება მის სასურველ საგნათ არის გადაქციული. საქართველოს კომუნისტურ პარტიას ევლება დიდი შრომა გაიღოს და ნაყოფიც უტყუარი, დიდ შინაარსიანი მას უსათუოთ მოჰყვება.

მიჯაჭული მიწის შავს მკერდზედ ჩვენი „ტეტია“ დიდი ყურადღებით ისმენს ქალაქის მუშათა გმირულ ბრძოლის ყიჟინას და გაორკეცებული ენერგიით ღრმათ ასობს მის წიაღში თვის შრომის მახვილს—სახნის საკვეთს.

იწყება სოფლათ აღმშენებლობის ხანა და ამ საქმეში სოფლის მუშა გამალებული ილვწის. მიწის საკითხი, რომელიც შეადგენს გლეხის ყურადღების ცენტრს ისეთი სისწორით, ისეთი მკაფიო სინამდვილით იჭრება, რომ გესმის და ვერ დაგიჯერებია, თუ მენშევიკებისაგან განაწამებს კიდევ შერჩებოდა ნატამალი აზროვნებისა. თამამათ შეგვიძლიან ვიამაყოთ ჩვენი გლეხით და ვსთქვათ, რომ მალე თვის ვინაობას ის ქვეყანას გააცნობს. ტყუილათ გმინავენ ჩვენი მონაციონალისტო კაცუნები სამშობლოს დაღუპვაზედ. ახალს სამშობლოს, მშრომელთა სამშობლოს აგებას სოფლისა და ქალაქის მუშა—გზა მიეცით მათ მობრძანებას!

**გით ქართლელი.**

---

**მისალმება საქ. რევკომის თავმჯდომარეს.**

მიქელ-გაბრიელის თემის მცხოვრებთა მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა 24 აპრილს მოისმინა ამხ. ქ. გურგენაძის მოხსენება საბჭოთა ძალა-უფლების დამკვიდრებაზე საქართველოში, სალამს უძღვნის საქართველოს საბჭოთა მთავრობას, სახელოვან წითელ ჯარს და ულოცავს მათ საქართველოს მუშების და გლეხების განთავისუფლებას მენშევიკების წიწვებისაგან. მიტინგი თავს ზდებს, რომ საბჭოთა მთავრობის ძალა უფლების გამტკიცების საქმეში არავის მისცემს უფლებას თავის მურტალი ხელით წინ სხვა რამე მოქმედებით წინ გადაელობის მთავრობის შემოქმედებით მუშაობას.

გაუმარჯოს საქართველოს.

გაუმარჯოს მთელ ქვეყნის პროლეტარიატს.

გაუმარჯოს პროლეტ. ხელმძღვანელს ლენინს.

გაუმარჯოს საქ. მშრომელ მასების ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლებს: ფ. მახარაძეს და მ. ცხაკაიას.

გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს.

მიტინგის თავმჯდომარე. **ს. ჩაგინავა**

მდივანი: **იჯოხნელიძე.**

---

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—[illegible] ლის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“. ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო [illegible] ლის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible] ბარი, კახეთის მოედანი 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

მე 5-ოე რაიონის ბიურო—ბაზრის ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

---

# ქალაქში მცხოვრებ ექიმებს

ყველა ქალაქში მცხოვრები ექიმი მოვალეა პირად პასუხის მგებლობის ქვეშ დაუყოვნებლივ აცნობოს ჯანმრთელობის განყოფილებას (ყოფილი ქალაქის მედიკო-სანიტარული ბიურო) ყოველი შემთხვევა მწვავე გადამდებ ავადმყოფის შესახებ, რომელიც აღმოჩენილი იქნება მის მიერ.

ცნობები უნდა გამოიგზავნოს მიღებული სარეგისტრაციო ფურცლების შევსებით, რომელთა მიღება შეიძლება ქალაქის ჯანმრთელობის კანცელარიაში.

ქალაქის ჯანმრთელობის გამგე ვაწაძე.

---

# საბავშვო ბაღის

**გახსნა**

ქალაქის რევკომის მიერ დიდუბეში მოწყობილ პირველი საბავშვო ბაღის გახსნა მოხდება ა/წ 9 მაისს.

განცხადებები მიიღება 28, 29, 30 აპრილს, 10—2 საათამდე. (ბათომის ქ., № 38, ან კოოპერაციის ქ. № 5).

---

# ფინანსთა კომისარიატის განცხადება

ფინანსთა კომისარიატი აცხადებს ყველა იმ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომელთა საქონელიც დაგირავებულია ან და ინახება საკრედიტო დაწესებულებათა საწყობებში, ან კიდევ აქვთ სახელდახელო ანგარიშები ბანკებში და ხაზინაში, რომ საქონლის, თუ ფულის დასაბრუნებლად არ უნდა აღძრან შუამდგომლობა ვიდრე კომისარიატის სააღრიცხვო კომისია მუშაობას არ დაამთავრებს და ფინანსთა სახალხო კომისარი განსაკუთრებულ განკარგულებას არ გამოსცემს, რომელიც თავის დროზე იქნება გამოქვეყნებული.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი: ალშიბაია.

---

მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოთ.

# სახალხო სასურსათო კომისარიატის განმანაწილებელი განყოფილება ამით აცხადებს მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოთ

რომ ყოველგვარი სურსათ სანოვაგე განაწილებული იქნება მუშათა მაგიდიდან საერთო წესით, რაც წინასწარ გამოცხადებული იქნება გაზეთებში. ასეთივე წესით მომავალ უქმეებისთვის იქნება განაწილებული პაპიროსი და ღვინო, ამიტომ ყოველგვარი კერძო ჯგუფების თხოვნები ზემოხსენებულ საგნების მისაღებად უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

განმანაწილებელი განყოფილების გამგე **სტურუა.**

მდივანი **მკალობლიშვილი.**

---

# განცხადება

ყველა იმ დაწესებულებებს, რომლებიც ჰღებულობენ რძეს სახალხო სასურსათო კომისარიატის ორდერებით—წინადადება ეძლევათ წარადგინონ სახ. სასურ. კომისარიატის სარძეო სექციაში ახალი მოთხოვნილებანი, სადაც სისწორით უნდა იქმნეს აღნიშნული რძის მიმღებთა და საჭირო რძის რაოდენობა. ეს ცნობები და მოთხოვნილებანი წარმოდგენილ უნდა იქმნენ სარძეო სექციაში 30 აპრილამდის. ვინც არ წარმოადგენს ცნობებს, რძეს აღარ მიიღებს.

ორდერების მიღება შეიძლება 30 აპრილს 12—2 საათამდე.

სარძეო სექციის უფროსის დროებით აღმასრულებელი პ. ცურინოვი.

---

ხუთშაბათს, 28 აპრილს დილის 11 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია.

# თფილისის მასწავლებელთა პროფეს. კავშირის საერთო კრება.

წესრიგი: 1) საკითხი კავშირის რეორგანიზაციის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

---

1 მაისითვის გამოვა საქართველოს წითელ ლაშქრის გაზეთი

# „წითელი მხედარი“

რედაქციის მისამართი: პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობა. სახალხო განათლების კომისარიატთან.

---

# სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისაგან

ყველა პირებისათვის, რომლებსაც ესაჭიროება სოციალური დახმარება, ქალაქ თბილისის რევკომის უზრუნველყოფის განყოფილებამ დააწესა თხოვნების მიღების შემდეგი პუნქტები:

პუნქტები № 1—ლაზარევის ქუჩა № 1 (ავლაბარი).
„ № 2—ალექსანდროვის ქუჩა № 42 (კუკიაში).
„ № 3—ბოტანიკური ქუჩა № 4 (თათრის მოედანი).

აღნიშნული პუნქტები თხოვნებს იღებენ დილით საათის 10-დან 1-დე.

---

ხუთშაბათს, აპრილის 28-ს, საღამოს 5 საათზე, კინო-თეატრ „მინიონ“-ში შესდგება.

# პროფესიონალურ კავშირთა პლენუმის

და პროფკავშირთა გამგეობის და საქარხნო კომიტეტების გაფართოვებული სხდომა.

ს. კ. პ. ს. პრეზიდიუმი.

---

# ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში“ დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება